წელიწადი პირველი ფასი 5 კაპ. პარასკევი, 20 გიორგობისთვე 1915 წ. № 148

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივ ... მეოთხე გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

## საქართველოს კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ნოემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 1 მან.—60 კაპ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“ Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.

1915 წლის 21 ნოემბერს, დილის 11 საათზე, ახალი კლუბის დარბაზში დანიშნულია ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წევრთა მორიგი

## საზოგადო კრება

**განსახილველი საგნები:** 1) მოხსენება წ. კ. გ. საზოგადოების 35 წლის მოქმედების შესახებ. 2) მოხსენება კავკასიის სამეფისნაცვლოს ქართველთა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირის დაარსების შესახებ და ჩ ჩვენი საზოგადოების ამ კავშირში წევრად შესვლა. 3) მოხსენება ქართველ მოღვაწეთა პანთეონისათვის დიდუბის ეკლესიის გალავანში სასაფლაო ადგილის შეძენის შესახებ. 4) მოხსენება საგურამოს მამულის შესახებ. 5) მოხსენება წიგნთსაცავ-მუზეუმის შესახებ. 6) განყოფილებათა ინსტრუქციის 4 მუხლის შეცვლის შესახებ. 7) სექციათა ინსტრუქციაში ზოგიერთ ცვლილებათა შეტანის შესახებ. 8) აკაკის მიერ ნაანდერძევი მამულის მიღების შესახებ. 9) მოხსენება საწევრო გადასახადის ერთ მანეთამდე შემცირების შესახებ. 10) მოხსენება ძველი ვალების განაღდების შესახებ. 11) 1914 წლის გამგეობის მოქმედების ანგარიში. 12) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 13) გამგეობის პასუხი საჯევიზიო კომისიის შენიშვნების გამო. 14) 1916 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა. 15) ახალ წევრების მიღება.

ახლად გახსნილს ინტელიგენტურს სასადილო

## „პეტროგრად“-ში

კრუზენშტეინის ქუჩაზე, „Тифл. Листок“-ის რედაქციის პირდაპირ
მზადდება ყოველნაირი
ევროპიული და აზიური საჭმელები
ძრიელ ხელმისაწდომ ფასებში: 2 თავი 50 კ. ხოლო სამი თავი 65 კაპ.
თვიურად ფასდაკლებით, ე. ი. 2 თავი—13 მან., 3 თავი—16 მან.
შეიძლება ვახშმის შეკვეთა.
პატივისცემით ს. კახეთელიძე და გ. არჩვაძე.
25—14

„წითრის წყლის“ სადგურთან, სულ რამდენსამე ნაბიჯზე, თვით სადგურიდან, გაიხსნა

## სასტუმრო „ჯუგაანი“

სასტუმრო მოწყობილია სუფთად და ევროპიულად ნომრებით და ბუფეტით
15—7 პატივისცემით ნიკო (კოლა) ზურაბის-ძე ზედელაშვილი

გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს
ი. თ. გვათუას კანტორა
ვერის დაღმართი № 1
ტელეფონი 17—05

ქ. გორში
ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

კბილის ექიმმა
მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს დოსტაქარი ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

19 გიორგობისთვე.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი,** 18 გიორგობისთვე ოფიციალი ცნობა. დასავლეთის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

**კავკასიის ასპარეზი.** ვანის ტბის სამხრეთით, ორი დღის ბრძოლის შემდეგ სოფ. ვარკუნის მიდამოებში, ოსმალები ორი გამაგრებული ადგილიდან განდევნეს. ოსმალებმა სწრაფად დაიწიეს დასავლეთისკენ, რუსები უკან დაედევნენ.

---

### საფრანგეთში.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატამ ახალი კანონ-პროექტი მიიღო, რომლის ძალითაც სამხედრო მინისტრს დასტური ეძლევა 1917 წლის გასაწვევნი ადრე გაიწვიოს ჯარში. სამხედრო მინისტრ გალიანის განცხადებით, ეს ჯარი 1916 წლის გაზაფხულისათვის მზად უნდა იყოს, რა წამს მათი შეიარაღება შესაძლებელი გახდება.

### იტალეთში.

**რომი.** ხვალ პარლამენტის სხდომები დაიწყება.

### საფრანგეთის ასპარეზი.

**პარიზი.** საღამოს ცნობა. ჟინჟლიანი და ბურუსიანი დღე იყო. არტუაში ლოისისა და ელზასის მიდამოებში ხელის ყუმბარებით იბრძოდნენ. ფეხტას ველში, მიულმახის ჩრდილოეთით ფრანგებმა მოპირდაპირის სანგრები დაანგრიეს.

### ბელგეთის ასპარეზი.

**ჰავრი.** ბელგეთის ცნობა. ბელგეთის ჯარის პირიდან რამსკაპელლესა და პერევიზისაკენ, სიკენსკერკესა და ოოსტკერკეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, დიქსმიუდე-უდეკაპელლეს სამხრეთით, ნოორდშოოტესა და გიპეგელში ზარბაზნებით ბრძოლა იყო. ბელგიელები ზარბაზანს უშენდნენ გერმანელების სანგრებს როტეგემეს, ესენის, ვუშენის და ბიკსშოოტეს მიმართულებით.

### მთაშავეთი.

**ცეტინიე.** „პრეს-ბიუროს“ ცნობით 16 გიორგობისთვეს ფოჩის მიდამოებში ავსტრიელებზე იერიშით მისულმა მთაშაველებმა უკუაქციეს ისინი გორაზდოს მიმართულებით.

### სპარსეთის გარშემო.

**ლონდონი.** რობერტ სესილმა პალატაში განაცხადა: რუსეთ-ინგლისის მთავრობას სპარსეთის მთავრობასთან მეგობრული მოლაპარაკება აქვს. დაწვრილებითი ცნობების გამომჟღავნება საქმის მსვლელობას ვნებას მოუტანს.

### ზავის გარშემო.

**კოპენჰაგენი.** „ფორვერტს“-ი მოწინავე წერილში ამბობს: საჭიროა პარლამენტში კამათი გაიმართოს ომის დასრულებისა და ზავის პირობების თაობაზეო.

### კანადაში.

**ოტტავა.** სასროლ მასალის დამმზადებელი კანადის კომიტეტი მილიციის მინისტრს დაექვემდებარა. სასროლ მასალას 320 ქარხანა ამზადებს, სადაც 100 ათასი სპეციალისტი მუშა მუშაობს.

### იტალეთი.

**რომი.** მთავარ ბანაკის ცნობა 17 გიორგობისთვისა: ტიროლ-ტრენტინის საზღვრების გასწვრივ სექსტენშტეინთან, შვარცე-რიენცის ველში, მტერი ძლიერს ზარბაზნის სროლას აწარმოებდა. იტალიელები მარჯვედ უშენდნენ ვოლსუგანოში, ლევიკოს ყაზარმებს და სადგურს. კარნიაში გაჰფანტეს მტრის რაზმი კოლოდი-დი-რამონდოსკენ მიმავალი, ზემო კიორაცოში, მორზლისა და ვოდილეს ფერდობებზე მოპირდაპირის ცხარე იერიშები მოიგერიეს. გორიცის ჩრდილო-დასავლეთით, მედგარი ბრძოლის შემდეგ, პუბლისა და სან-ფლორანო-გორიცის გზის შუა იტალიელებმა მარჯვედ იმოქმედეს. კარსონზე, რამდენიმე სანგრის აღების შემდეგ, იტალიელნი სან-მარტინის სახლებს მიუახლოვდნენ. ამ დღეს დაატყვევეს 264, დავლად წამოიღეს 2 ტყვიისმფრქვეველი, 3 ყუმბარის მტყორცნელი, თოფები და სამხედრო მასალა.

### წყალქვეშას დაღუპვა.

**ლონდონი.** ფელდმარშალი ფრენჩი იტყობინება: ინგლისის ჰაეროპლანმა 15 გიორგობისთვეს მიდლკერკესთან დაღუპა გერმანელების წყალქვეშა ნავი. ჰაეროპლანზე მფრინავად იყო ინგლისელი, ყუმბარის მსროლელად—ფრანგი. ისინი 300 ადლზე დაეშვნენ და იქიდან ესროლეს ყუმბარები.

### ბულგარეთში.

**ბუქარესტი.** ბულგარეთიდან იტყობინებიან, რომ მეფე ფერდინანდმა სადარბაზოდ მიიღო ენვერ-ფაშა და რამდენიმე საათის განმავლობაში ითათბირა. ენვერ-ფაშა იმავე საღამოს სტამბოლს დაბრუნდა.

### რუმინეთში.

**ბუქარესტი.** ოფიციალი ცნობა. რადგანაც რუმინეთ-ბულგარეთის საზღვარზე, რუმინეთში მიმდინარე დუნაის ნაპირებში, თურქოსმალიდან მოყოლებული ნაღმებია ჩაწყობილი იმ ადგილამდე სადაც არის ნიშანი 403 კილომეტრისა გალაცსა და მდინარე პრუტის შესართავს შუა. ამის გამო რუმინეთის მთავრობა აფრთხილებს ნავოსნებს, რომ ამ მიდამოებში მხოლოდ ოფიციალ მეზღვაურთა ხელმძღვანელობით აწარმოვონ ნავოსნობა. ამ მიდამოების შესავალთან მოდარაჯე გემები იდგება.

### ინგლისში.

**ლონდონი.** ლორდი კიტჩენერი ინგლისში დაბრუნდა.

... მინისტრთა საბჭოს სხდომას, რომელსაც სამხედრო მინისტრიც დაესწრება.

### სპარსეთის ვითარება.

**ლონდონი.** რობერტ სესილი წერილობითი განმარტებას აძლევს პალატას: მას მერე რაც შირაზში სპარსეთის ჟანდარმერიამ ინგლისის კონსული და ბანკის დირექტორი დაატყვევა, ახალი ცნობა არაფერი მიმიღია იმის გარდა, რომ სპარსეთის მთავრობამ უცხოეთის ინსტრუქტორი დაიბარა. შვეციის მთავრობა არ შეიძლება პასუხის მგებლად გამოვიყვანოთ ჟანდარმერიის ოფიცერთა საქციელში, ის ოფიცრები შვეციის ოფიცრებად არ ითვლებიან, ისინი არიან ეროვნულად შვეციელნი, მხოლოდ სპარსეთის ჟანდარმერიაში ინსტრუქტორებად მოსამსახურენი.

### საფრანგეთის ასპარეზი.

**პარიზი.** დღის ცნობა. ღამე თვალსაჩინო არაფერი მომხდარა, მხოლოდ ფრიზის მიდამოებში, მდ. სომმას ველში, გერმანელებმა ნაღმით სანგრები აგვიფეთქეს, რომელსაც ვნება არ მოუყენებია. არტუაში ფრანგმა მფრინავმა გერმანელთა ჰაეროპლანზე იერიში მიიტანა, ერთი იძულებული გახდა მიწაზე დაშვებულიყო, მეორემ კი თავს უშველა. მას დუემდე ფრანგმა მფრინავმა სდია. 15 გიორგობისთვეს ფრანგმა მფრინავმა ლანსის სადგურთან მდებარე ბანაკს ყუმბარა ესროლა 90 მილიმეტრიანი.

### წყალქვეშას დაღუპვა.

**ლონდონი,** ოფიციალი დამატებითი ცნობა. გერმანელების გემი, რომელიც მფრინავებმა დაღუპეს „ალბატრონსიას“ ტიპისა იყო. წყალქვეშა რამდენიმე წუთში ჩაიძირა.

### გერმანეთში.

**ლონდონი,** „მორნინ-პოსტ“-ს კუნძულ გიგადან იტყობინებიან: დენი კოშენმა მესინის კრეისერზე საუბარის დროს განაცხადა: თუ საჭიროება მოითხოვს საბერძნეთი სამხედრო მოქმედებას დაიწყებს მოკავშირეთა სასარგებლოდ.

### დარდანელში.

**პარიზი.** 14—15 გიორგობისთვეს ორივე მხრივ ნაღმებით ბრძოლა იყო. ოსმალების ერთი ფარული გვირაბი აღმოაჩინეს. ხელის ყუმბარებით მოპირდაპირეთა მუშები გაჰფანტეს.

---

# ჟურნალ-გაზეთებიდან

## საბერძნეთი

### დიპლომატიური მდგომარეობა

ათინის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ საბერძნეთსა და შეთანხმების სახელმწიფოთა შორის ყოველგვარ გაუგებრობასა და უთანხმოებას ბოლო მოელო. ბერძენი დიპლომატები ირწმუნებიან, რომ წინაღმდეგ გავრცელებული ხმისა, შეთანხმების სახელმწიფოებს არ მოუთხოვნიათ საბერძნეთის ჯარის დემობილიზაცია.

### ფრანგული პრესა საბერძნეთის შესახებ

ფრანგულ გაზეთ „L'Action-ში სენატორი ბერანჟ, სწერს:

„საბერძნეთის მეფე კონსტანტინე ერიდება საკითხს, თუ როგორც მოექცევა სერბთა და მოკავშირეთა ჯარებს, უკეთუ ესენი შეიხიზნენ საბერძნეთის ტერიტორიაში. მეფე კონსტანტინე მზად არის შეღავათი მისცეს შეთანხმების სახელმწიფოებს, რომ ისარგებლონ საბერძნეთის რკინის გზებით და ტელეგრაფით დღევანდელ სამხედრო მოქმედების ფარგალში. ეს ძალიან ცოტაა. მეფე კონსტანტინე არას ამბობს საბერძნეთ-სერბეთის ხელშეკრულობის თაობაზე. საბერძნეთის სამეფოს სათავეში უდგას გერმანოფილური მთავრობა. ვენიზელოსი დაშორებულია ქვეყნის პოლიტიკის წარმოებას, საბერძნეთის ჯარი შეიარაღებულია, მთავრობას არ სურს დემობილიზაცია მოახდინოს. მოკავშირეთა ჯარები ვარდარის სანგარ-თხრილებში არც თუ უშიშარ მდგომარეობაში არიან.

მეორე გაზეთ „L'homme Libre“-ში კლემანსო სწერს: „აუცილებელია საბერძნეთის ჯარის დემობილიზაცია, რათა საბერძნეთის კონსტიტუციას შეეძლოს შეუზღუდველი მოქმედება. შეთანხმების სახელმწიფოებმა უნდა მოსთხოვონ მეფე კონსტანტინეს თავის ერის ხმას დაჰყვეს, იმ ერისა, რომელიც აშკარად ემხრობა საფრანგეთ-ინგლისს, მაშინ როდესაც თვით მეფის „კეთილგანწყობილება“ ფრიად საეჭვო ღირებულების არისო.

### ინგლისის პრესა საბერძნეთის შესახებ

„Daily Chronicl“-ი სწერს: საბერძნეთის მთავრობა ცდილობს ისეთი შთაბეჭდილება მოახდინოს, თითქოს იგი სავსებით აკმაყოფილებს შეთანხმების სახელმწიფოთა მოთხოვნილებებს და ამ აზრით შესაფერი განცხადებაც გამოაქვეყნა. ამის და მიუხედავად საჭიროა, ეჭვის თვალით შევხედოთ საბერძნეთის რწმუნებასა და განცხადებას. მით უმეტეს რომ ედუარდ გრეიმ პარლამენტში ერთი სიტყვაც კი არ დასძრა ჩვენდამი საბერძნეთის მთავრობის განწყობილების შესახებ. ყოველგვარ მოულოდნელ უსიამოვნების ასაცილებლად საჭიროა გვახსოვდეს რომ სამინისტროს რწმუნება საკმარისი არ არის, რომ მხოლოდ ენერგიულ ზომებსა და მოქმედებას აქვს დამარწმუნებელი ძალა.

— „Daily Nevs“-ი უფრო ოპტიმისტურად უყურებს საბერძნეთის მეფის განცხადებას და სწერს:

„ბალკანეთში სხვანაირად დატრიალდა საქმე. საბერძნეთსა და შეთანხმების სახელმწიფოთა შორის გაუგებრობა გაიფანტა და მათ შორის შეთანხმება განმტკიცდა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ და კერძოდ რუმინეთის პოზიციის გამორკვევის საქმეშიო“.

## სპარსეთი.

### შინაგან საქმეში ჩარევა.

გერმანელებმა, ოსმალებმა და ავსტრიელებმა განაცხადეს რომ ისინი იარაღით ხელში ჩაერევიან სპარსეთის საქმეებში და იძულებულს გახდიან მთავრობას რუსეთს ომი გამოუცხადოს. თეირანის ქუჩებში ყოველგვარი მოძრაობა შეწყვეტილი იყო, რადგანაც გერმანეთ-ოსმალეთის მომხრე სპარსელებს ყუმბარები და იარაღი მიჰქონდათ იარაღის საწყობებში.

### შაჰი ლაპარაკობს და არ მოქმედობს.

რუსეთმა და ინგლისმა მოსთხოვეს შაჰს რომ მას იარაღი მაინცდამაინც აეყარა ყველა იმ ტომისათვის, ვისაც გერმანეთის აგენტებისაგან იარაღი ჰქონდა მიღებული. შაჰმა ფიცხელი ბრძანება გასცა, მაგრამ პოლიცია სრულიად უმოქმედოდ იყო. მას არც გამოუცხადებია მცხოვრებლებისთვის შაჰის ბრძანება იარაღის დაბრუნების შესახებ. შაჰის ფიცხელი ბრძანება გამოცხადებული იყო დიდი ხნით ადრე, რომ თეირანიდან გაიტანეს 7000 თოფი და 3000 ყუმბარა და რამდენიმე მილიონი პატრონა. ყველა ეს იარაღი და ტყვია-ყუმბარა წაიღეს ქალაქ ყუმში, სადაც იმყოფება გერმანეთ-ოსმალეთის მთავრობა და სპარსეთის პარლამენტის დემოკრატი დეპუტატები და სადაც მზადდება იერიში რუსეთ-ინგლისის წინააღმდეგ.

## ეგვიპტეში.

ეგვიპტეში მომქმედ ოსმალთა ჯარის მთავარსარდლად იუსუფ იზედინი დაინიშნაო. ნამდვილ ხელმძღვანელად კი იქნებიან მაკენზენი და სანდერსი.

## ჩინეთში.

როგორც ნამდვილი ცნობებით ირკვევა, ჩინეთი გერმანეთს ემხრობა. ამ საქმეში დაინტერესებულ სახელმწიფოებს ცხარე მოლაპარაკება აქვთ ჩინეთის მთავრობასთან. უმთავრესად ინგლისი მოქმედობს, მას მხარს უჭერს რუსეთი და საფრანგეთი. ეს სახელმწიფოები ცდილობენ, ჩინეთში გერმანეთის გავლენა მოსპონ. იაპონიის საპოლიტიკო წრეები ამ მოქმედებას არ თანაუგრძნობენ, თუმცა პეკინში მყოფმა იაპონიის დესპანმა ბრძანება მიიღო, ინგლის-რუსეთ-საფრანგეთის წარმომადგენლებს მხარი დაუჭირეო.

## ბალკანეთში.

სერბეთ-ბულგარეთის ბრძოლის ველზე დაჭრილი ფრანგი აფიცერი ამბობს: მაკედონია მეტისმეტად მთა-გორიანი ადგილია, რის გამოც ძალიან ფერხდება როგორც საომარი მოქმედება, ისე სურსათ-სანოვაგის გადატანა. ბულგარეთს ჯარს სასროლი მასალა თავსაყრელად აქვს. მათი ზარბაზნები განუწყვეტლად ისვრიან.

## სერბეთში.

ათინიდან იტყობინებიან, სერბეთის ჯარი უკიდურეს განსაცდელში ჩავარდაო.

### ზავი სერბეთს.

გერმანეთის მთავრობამ კვლავ შეუთვალა სერბეთის მთავრობას, ზავი შევკრათ და შენს მიწა-წყალს სრულიად დაგიბრუნებო, მხოლოდ ოსმალეთისაკენ მიმსვლის გზა დამითმეო. მეფის წულმა ალექსანდრემ უარი შეუთვალა.

— „დიმინიაცის“ სიტყვით: ჩეხანის მარცხენა ნაპირას, კოვახლის დასავლეთით ფრანგების ჯარი იძულებული გახდა გამაგრებულ ადგილებისაკენ დაეხია. ბულგარებმა სერბიელნი განდევნეს და ტეტოვოში შევიდნენ. ბულგარები თავგანწირვით სცდილობენ მონასტირისკენ მიმავალი გზატკეცილი ხელთ იგდონ. ბაბუნის ხეობაში ცხარე ბრძოლაა. აქ სერბიელები უკვე ათი დღეა თავგანწირვით იგერიებენ მტერს. დრინაზე გადასვლის შემდეგ ავსტრიელებს მთაშაველნი დაუხვდნენ კაუნიცის ჩრდილოეთით. გერმანელები ახალ ბაზრის სანჯაკში მაგრდებიან. მოკავშირეთა ჯარი სცდილობს სანტიკარანტადან ალბანეთში მიმავალი გზა გაიკვლიონ და სერბეთის ჯარს უკან დახევა გაუადვილონ.

---

### ბულგარეთის ელჩის განცხადება.

სტამბოლში მყოფ ბულგარეთის ელჩს განუცხადებია ოსმალურ გაზეთის თანამშრომლისათვის. გაღებული მსხვერპლი ასანაზღაურებლად, ბულგარეთს უნდა შეუერთდეს არა მარტო ის მიწები, რომელიც უამისოდაც მისი უნდა ყოფილიყო ბულგარეთ-სერბეთის ხელშეკრულობის ძალით, არამედ სხვა მიწებიც, რომელთანაც დაკავშირებულია ბულგარეთის ეროვნული ინტერესები, მაგალითად მდ. მორავის ველები, ნიშის პროვინცია და ვრანიე, რომელთა მოსახლეობა შესდგება ბულგარებისაგან.

### ბერლინ-სტამბოლის გზა.

სტამბოლიდან ცნობაა, ამ ათ დღეში ბერლინ-სტამბოლს შუა გაწესრიგებული მიმოსვლა გაიმართება რკინის გზითაო. მატარებლები ივლის ბუდაპეშტ-ნიშ-სოფიას გზით.

**გერმანეთის ჯარის დანაკლისი.**

კოპენჰაგენის გაზეთის თანამშრომლის, ბ-ნ ლინდბაეკის გამოანგარიშებით, გერმანეთს სულ ერთიანად უნდა გამოეყვანოს ბრძოლის ველზე ცხრიდან ათ მილიონამდე ჯარისკაცი. აქედან ლინდბაეკის ანგარიშით, 900,000 ბრძოლის ველზე დახოცილა, მილიონ რვაას ათასი დაჭრილია, და ნახევარ მილიონი ტყვედ არის წაყვანილი საერთო რიცხვი გერმანეთის ჯარის დანაკლისისა უდრის სამ მილიონსაო.

**ზავის კონფერენცია.**

14 ქრისტეშობისთვეს შვეიცარიის ქალაქ „ბერნში“ მოწვეულია ზავის კონგრესი, რომელმაც უნდა შეიმუშავოს ძირითადი საფუძვლები მკვიდრი მშვიდობიანობის დასამყარებლად მომავალში. ამ კონგრესზე მთავარ როლს თამაშობს ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის დელეგატები ოთხ ქრისტეშობისთვეს გამოვლენ ამერიკიდან.

**რუსეთი და რუმინეთი.**

ყოვლად სარწმუნო წყაროებიდან უწყებიან, რომ საფუძველს მოკლებულია ხმები, თითქოს შეთანხმება რამ მომხდარიყოს რუსეთსა და რუმინეთს შორის. მართალია ამ ორ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკება სწარმოებს, მაგრამ არავითარ დასკვნამდე არ მისულან.

**გერმანელები რუშჩუკში.**

რუშჩუკში მუდამ დღე მიჰყავთ გადახურულ ნავებით გერმანელი ჯარისკაცები.

**ხოლმშჩინაში.**

მინსკიდან იტყობინებიან, რომ გერმანელები ხოლმშჩინაში უკრაინულ სკოლებს აარსებენ, საქმის წარმოებაც კი ამ სკოლებში უკრაინულ ენაზე სწარმოებს.

# უკანასკნელი ფოსტა

**საბერძნეთში.**

დიპლომატების აზრით, საბერძნეთი საფრანგეთს გულისწყრომას გამოუცხადებს, რადგან მან საომარ მთავარ ბანაკად კავალა დაიჭირა.

**ბულგარეთ-რუმინეთი.**

რომიდან ცნობა მოვიდა: ბულგარეთის მთავრობამ განკარგულება გასცა, რუშჩუკიდან მშვიდობიანი მოსახლეობა გაიყვანესო.

რუშჩუკის მცხოვრებნი შუაგულ ბულგარეთისაკენ იხიზნებიან. დუნაის ზემო მდინარეობისაკენ თუ რომელიმე სამხედრო გემი აივლის, ზარბაზნებს დაუშენენ.

**ახალი თათბირი.**

ხმებია, თემეშვარში სამხედრო ბჭობა გაიმართა მაკენზენის თავმჯდომარეობით. ბჭობის საგანი იყო რუმინეთს ახლავე ომი განვუცხადოთო. ენვერ-ფაშას აღუთქვია 200 ათასი ჯარისკაცის მიშველება.

**სპარსეთის ვითარება.**

სპარსეთის მთავრობა მეტად უძლური გამოდგა გართულებულ მდგომარეობას უშველოს რამე. მოკავშირეები რუსეთთან ერთად ემზადებიან, რომ მეამბოხეებს დაასწრონ და დროზე გაანადგურონ, ვიდრე ესენი ძალაში შევიდოდნენ.

**ბურცევი პეტროგრადში.**

ბურცევს ნება დართეს პეტროგრადში მოვიდეს და იანვრამდე დარჩესო.

**საბერძნეთის აღთქმანი**

საბერძნეთს ხელ-ახლად აღუთქვია მოკავშირეებისთვის ნეიტრალობას დავიცავ და თქვენთან კეთილს განწყობილებაში ვიქნებიო.

**ბულგარეთის ახალი გეზი**

ბულგარებმა ჯარები ახლა დუნაისკენ წამოიყვანესო.

**გერმანელთა ახალი იერიშები**

გერმანელებმა ახალი იერიშები დაიწყეს რიგა-დვინსკის ხაზზე. შესაძლებელიაო, ამბობს „რუს. ინვ.“ გერმანელთ ფარული განზრახვა აქვთ თვალი აგვიხვიონ და უკანა ჯარები სხვა მხრით გადაიყვან-გადმოიყვანონ; შეიძლება ისიც, რომ მათ განიზრახეს რიგის აღებაო.

# ბრძოლის ველზე

რუსეთ-გერმანეთის ბრძოლის ასპარეზზე, როგორც მთავარი შტაბის დეპეშა გადმოგვცემს, არავითარი ცვლილება არ მომხდარა 18 გიორგობისთვის განმავლობაში.

კავკასიის ბრძოლის პირზე, ოსმალებსა და რუსებს ორი დღის განმავლობაში ბრძოლა ჰქონიათ ვანის ტბის სამხრეთით, სოფელ ვარხუნისთან. ორი დღის ბრძოლის მიწურულში ოსმალები იძულებულნი გამხდარან დაეტოვებინათ ორი გამაგრებული პოზიცია და დასავლეთისკენ წასულიყვნენ

მეგრი.

**თბილისი, 20 გიორგობისთვე.**

**დარდანელის განთავისუფლება.** პირველი საექსპედიციო ჯარი ინგლისმა და საფრანგეთმა ოსმალეთის წინააღმდეგ გამოგზავნეს, დარდანელის სრუტის გასარღვევად. საექსპედიციო ჯარისა და ოსმალეთის ჯარის შეტაკების ასპარეზად გადაიქცა დარდანელის დასავლეთი ნაპირი, გალიპოლის ნახევარ-კუნძული.

ინგლისმა და საფრანგეთმა ამ რიგად ზღვით და ხმელეთით მიიტანეს იერიში, რომ დაეჩქარებინათ დარდანელის ალების საქმე. პირველ ენტუზიაზმის დროს თითქოს ყველას დაავიწყდა დარდანელის სანაპირო სიმტკიცისა და სიმაგრის სინამდვილე. ის ინგლისელი ინჟინრები, რომლებიც წინა წლების განმავლობაში ტეხნიკის უკანასკნელის სიტყვის თანახმად ამაგრებდნენ ამ სრუტის ნაპირებს და რომელთაც, მუშაობის გათავების შემდეგ, იგი აუღებელ სრუტედ გამოაცხადეს, ეხლა შესაძლებლად რაცხდენ მისს გარღვევას.

ყველამ იცოდა, რომ საკმარისი არ იყო გალიპოლის ალება, რათა საფრანგეთ-ინგლისს შესძლებიყო შავ ზღვაში გასვლა და ოდესაში რუსეთისთვის სამხედრო მასალის მიტანა. გალიპოლის ალების შემდეგ საჭირო იქნებოდა მარმარილოს ზღვის მთელი დასავლეთი ნაპირის დაჭერა, რომ შემდეგ ამისა თვით სტამბოლის დაპყრობა იქნებოდა აუცილებელი და ამის შემდეგ ბოსფორის სრუტის დასავლეთის ნაპირის დაჭერაც. მთელი ეს მანძილი თითო მტკაველობით ბრძოლითა და სისხლით იყო დასაპყრობი. და მერე ესეც ხომ არ კმაროდა! ერთი ევროპის ნაპირი დარდანელ—მარმარილოს ზღვის—ბოსფორისა არ იძლეოდა გარანტიას, რომ ინგლის-საფრანგეთი ოდესამდე თავისუფალ მისვლა-მოსვლას გააჩაღებდა. საჭირო იყო ამავე წესით დაპყრობა აღნიშნულ სრუტეების აზიის ნაპირებისა! შორეულ ქვეყანაში საექსპედიციო ჯარის საშუალებით განსაკუთრებულ ძნელ პირობებში უაღრესად გამაგრებულ ადგილების წართმევა თავგანწირვით მებრძოლ მოწინააღმდეგისათვის—პირდაპირ შეუძლებელი იყო! მაგრამ ამ სინამდვილის სიმწარე აფეთქებულ ენტუზიაზმში აღარ მოსჩანდა.

დღეს ეს ენტუზიაზმი და ვნება ჩადგა. მათი ადგილი გონებამ და ანგარიშიანობამ დაიჭირა. რუსეთსაც სხვა გზა მიეცა საომარი მასალის შემოსაზიდათ.

ყველა ამ გარემოებამ ერთად დიდი ცვლილება გამოიწვია ინგლისის საზოგადოების სულიერ განწყობილებაში და აზროვნებაში. ყველა აღნიშნავს, რომ გალიპოლის ნახევარ-კუნძულზე დადებული მსხვერპლი, ასი ათასი ინგლისელი მეომარი, შესაფერი ნაყოფის გარეშე დარჩა, რომ ეხლა, გარემოებათა შეცვლის შემდეგ, საჭიროა ალყა მოიხსნას გალიპოლის ნახევარ კუნძულისაგან, მოხდეს საბოლოო ლიკვიდაცია დარდანელის ოპერაციისა და იქ დაბანდულ სამხედრო ძალებს მიეცეს ახალი მიმართულება და დანიშნულება.

ამ აზრმა სავალი გზა იშოვნა პრესაშიც და საკანონმდებლო დაწესებულებაშიც. ლორდმა მილნერმა, ლორდთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში, ხმამაღლა აღიარა ეს აზრი და დასძინა: თუ დარდანელში ინგლისის პრესტიჟი დაეცა, ეს პრესტიჟი სხვა ბრძოლის ველზე უნდა აღვადგინოთო. ამგვარად, დღეს დარდანელის ოპერაციებს დაეკარგა პოპულიარობა ინგლისის საზოგადოების თვალში. ეს საკმარისია, რომ საფრანგეთმაც თავისი სიფიცხე ჩაიჩუმოს და ინგლისთან ერთად ხელი მოაწეროს დარდანელის ოპერაციის სალიკვიდაციო „სიგელს“.

# ახალი ამბავი

✦ **უმაღლესი სტუმარი.** 18 გიორგობისთვეს, ნაშუადღევის 1 საათზე, თბილისში ჩამობრძანდა მისი უმაღლესობა ტატიანა კონსტანტინეს ასული კნ. მუხრან-ბატონისა, განსვენებულ თავ. კ. ა. მუხრან-ბატონის მეუღლე. რკინის გზის სადგურში მიეგებნენ მას დიდის მთავრის პეტრე ნიკოლოზის ძის უმაღლესი ძენი და ასულნი, თბილისის გუბერნატორი და ქართველ თავად-აზნაურობის წარმომადგენლნი. რკინის გზის სადგურიდან მისი უმაღლესობა წაბრძანდა მეფის ნაცვლის სასახლეში თავისს უავგუსტოეს ნათესავების სანახავად, ხოლო იმავე დღეს, საღამოს, მცხეთას გაემგზავრა.

✦ **სვეტიცხოველის ტაძარში** გუშინ 19 გიორგობისთვეს განსვენებულ ფლიგელ ადიუტანტის კონსტანტინე ალექსანდრეს ძის სამარეზე წირვის შემდეგ ეპ. ანტონის მიერ გადახდილ იქმნა პანაშვიდი. საფლავი შემკულ იყო ცოცხალ ყვავილებითა და გვირგვინებით. პანაშვიდს დეესწრნენ განსვენებულის ქვრივი მათი უმაღლესობა კნეინა ტატიანა კონსტანტინეს ასული, დიდი მთავრინანი მარინა პეტრეს ასული და ნადეჟდა პეტრეს ასული, თბილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი გუბერნიის მარშლის თ-დ დ. ე. ჩოლოყაშვილის მეთაურობით, თბ. ქალაქის თავი ა. ი. ხატისოვი, ქალაქის გამგეობის წევრი გ. დ. ჟურული, განსვენებულის ნათესაობა, სამთავროს დედათა მონასტრის დანი და მოწაფენი ამ სამონასტრო სკოლისა იღუმენია ნინოს მეთაურობით და მრავალნი პატივისმცემელნი, რომელნიც ტფილისიდან საგანგებოდ ჩამოვიდნენ. მათი უმაღლესობა კნეინა ტატიანა კონსტანტინეს ასული იმავე დღეს დაბრუნდა ტფილისს.

✦ **შიო მღვიმელის დღესასწაულის** მოწესრიგების გამოსარკვევად 18 გიორგობისთვეს რამდენიმე პირი შეიკრიბა სასოფლო-სამეურნეო ბანკში. კრებაზე ორნაირი აზრი გამოითქვა დღესასწაულის გამართვის შესახებ: ერთნი ამტკიცებდნენ, რომ დიდებისა და პატარაებისათვის ერთად გაიმართოს დღესასწაულიო, ხოლო მეორენი ამტკიცებდნენ, რომ დღესასწაული დიდებისათვის და პატარაებისათვის ცალცალკე გაიმართოსო. ლაპარაკმა კაი ხანს გასტანა. შემდეგ არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია; რომელსაც დაევალა აღძრულ საკითხის გამორკვევა და აგრეთვე იმ პირობებისა, რომელშიაც დღესასწაული გაიმართება. თავისი მოსაზრებანი კომისიამ უნდა წარუდგინოს კრებას დღეს, საღამოს 5 საათზე, „ნაკადულის“ რედაქციაში.

✦ **ქალების ინსტიტუტში** 14 გიორგობისთვეს გაიმართა სამუსიკო სალიტერატურო საღამო, რომელსაც დეესწრენ დიდი მთავრინები ანასტასია ნიკოლოზის ასული, მილიცა ნიკოლოზის ასული და მათ ამალის წევრნი. მოწაფე ქალთა მიერ შესრულებულ იქმნა სიმღერები და წაკითხული ლექსები ფრანგულსა და რუსულ ენაზე დასასრულ გაიმართა „ლეკური“ რომელიც მოწაფე ქალმა ბაგრატიონ დავითაშვილმა საუცხოვოთ შეასრულა და მათ უმაღლესობის სურვილის თანხმად განმეორებულ იქმნა.

✦ **პანაშვიდი კ. ა. მუხრან-ბატონის.** დღეს, 20 გიორგობისთვეს ქაშვეთის ეკლესიაში დანიშნულია ბრძოლის ველზე გმირულად თავდადებულ თ-დ კონსტანტინე ალექსანდრეს ძის მუხრან ბატონისა.

✦ **დღეობა.** ხვალ ტაძრად მიყვანების დღის თბ. საეპარქიო სასწავლებლის კარის ეკლესია უქმობს თვის დღესასწაულს.

✦ **რწმუნებულის გამგზავრება.** დღეს, 20 გიორგობისთვეს, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების დავალებით ბ-ნი ა. თ. ყიფშიძე მიემგზავრება ახალციხისა და ოლთისის მხარეს, სადაც ცნობები უნდა შეაგროვოს ომისაგან დაზარალებულთა შესახებ და დახმარება აღმოუჩინოს მათ.

✦ **ავადმყოფი მგოსანი ირ. ევდოშვილი** 18 გიორგობისთვეს, საღამოის მატარებლით ფოთს გაემგზავრა, საიდგანაც სოხუმში წავა, ზამთრის გასატარებლად. იგი დასუსტებულია, რის გამოც მას თან ახლავს აპ. წულაძე, რომელიც სოხუმამდე მიაცილებს და დააბინავებს. თუ ფოთიდან ზღვით მოუხერხებელი გახდა სოხუმს წასვლა, მაშინ გზატკეცილით გაემგზავრებიან ოზურგეთის გზით.

✦ **სამკითხველოები სოფლად.** ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სკოლებისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მეთვალყურე ბ-ნი გრ. ბურჭულაძე ზემო გომსა და ვარიანში (ქართლი) იყო, სადაც მისის თანადასწრებით ყრილობა შესდგა ადგილობრივ სამკითხველოს ახალ გამგეობათა ასარჩევად. კრებამ წესიერად ჩაიარა; გამგეობა ორივე სოფელში აირჩიეს.

✦ **საფეიქრო სკოლა.** სოფ. მეტეხის (ქართლში) მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს გამართონ თავიანთ სოფელში საფეიქრო სკოლა ქალთათვის და ამ საქმის განსახორციელებლად დახმარებისათვის უნდა მიმართონ ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას.

✦ **სასამართლოს განაჩენი.** სამხედრო სასამართლომ დახვრეტა გადაუწყვიტა ჯარისკაცს გერასიმე გლუხიანცს, რომელმაც მიმდინარე წლის მაისში მეჩექმე არუთინ მიკირტუმოვი მოჰკლა.

✦ **საომარ სესხზე** სახელმწიფო ბანკში მოაწერეს 2 მილიონ მანეთზე, სავაჭროსა 1 მილიონზე, ვოლგა-კამისა 600 ათასზე და აზოვ-დონისა ამდენისავეზედ.

✦ **სოხუმის ქალაქის თავის** თ-დ ნ. მ. თავდგირიძის შუამდგომლობის თანახმად დანიშნულ იქნა საგანგებო კომისია სოხუმ-ზუგდიდის გზის მოსაწესრიგებლად და მოძრაობის მოსაწყობად. კომისიაში შედიან ინჟინრები ლ. გ. კაირანსკი, გ. ლ. ქორქაშვილი და ქუთაისის საალმშენებლო განყოფილების წევრი. კომისია მიემგზავრება თ-დ თავდგირიძესთან ერთად ამ დღეებში.

✦ **ზინგერის ამხ-ბა.** ფინანსთა სამინისტრომ მთავრობის ინსპექტორები დანიშნა ზინგერის საკერავ მანქანათა საწყობებზე. თბილისის ოლქის ინსპექტორად დანიშნულ იქმნა თბ. სახაზინო პალატის განყოფილების უფროსი ა. ა. იზიუმსკი, ხოლო ბაქოს ოლქისა—ბაქოს სახაზინო პალატის განყოფილების უფროსი ნ. ა. ვოინიკოვი. ამ მოკლე ხანში ზინგერის საწყობები ხელ-ახლა იქნება გაღებული.

✦ **კავკასიის საერობო კავშირმა** ალაზნის ველზე უკვე დაიწყო შეგროვება ტყავეულობის დასამუშავებელ ნივთიერებათა, მაგალითად წაბლის

# ქალის კულტი საქართველოში

(ლექცია ვ. გურკოსი, არტისტიულ საზ. საკონცერტო დარბაზში 7 გიორგობისთვეს წაკითხული)

(შემდეგი *)

II

რომელი მოვლენაც უნდა ავიღოთ შესასწავლად ძველი ქართულ ლიტერატურის მიხედვით, ყოველთვის დაბრკოლებათა ზღუდეს ვაწყდებით, რის გამოც კვლევა გვიძნელდება. საქმე ის არის, რომ ქართულ ლიტერატურაში უძველეს ხანიდან დღემდე ვერ ვხედავთ შეუწყვეტელს ძაფს, ვერ ვხედავთ სხვა და სხვა ფორმების ჩამოყალიბებას, სხვა და სხვაობაა გამეფებული როგორც იქ, ისე ტრადიციებში, იდეების შემუშავებაში და სხვა. პროფ. მარრის სიტყვით მთელს მე-XIV—XV საუკ. განმავლობაში შესწყდა ქართულ ქრისტიანულ პერიოდის განვითარება. სახელმწიფოებრივ კატასტროფასთან ერთად, რაიც მონღოლთა შემოსევას ფეხ და ფეხ მოჰყვა, სწყდება სულიერი განვითარებაც, ხსენებული საუკუნე გამოდის როგორც მოელვარე საზღვარი ძველი და ახალი საქართველოს შუა, რომელმაც ნანგრევებიდან გვიან, მაგრამ მაინც იწყო ამოშუქება. ამიტომაც მეთორმეტე საუკუნის ლიტერატურიდან რაც გადარჩა, უნდა ჩაითვალოს სასწაულით გადარჩენილ უდიადეს ლიტერატურის ნაშთად, რომელთა დამარხვა ვერ შესძლო თვით ბარბაროსულ შემოსევის ნანგრევებმაც კი. საშუალო საუკუნეთა მწერლების ნაწარმოებნი უკვალოდ გაჰქრნენ. მათი არსებობა ჩვენ ვიცით მხოლოდ მათი სახელების აღნიშვნით, რაიც შემდეგმა პოეტებმა დაგვიტოვეს. ოთხი კლასიკურ მწერლიდან, რომელთა სახელები რუსთაველმა „ვეფხის ტყაოსნის“ უკანასიტყვაობაში აღნიშნა ლექსით, ორი ავტორი სრულიად დაკარგულია ჩვენთვის „აბდულ მესია“ და სარგის თმოგველის „დილარგეთიანი“.

*) იხ. „საქართველო“ № 147.

თვით მე-XII საუკ. გადარჩენილი ძეგლიც ახალ სიბნელის ზღუდეს გვიჩენენ მათ შესწავლის დროს. უწინარეს ყოვლისა საჭიროა განვსაზღვროთ რა გავლენას ახდენდა სპარსული რომანტიზმი, რაიც ამ დროს სრულს ყვავილობაში იყო. ამ გავლენის გარშემო, როგორც ვიცით, დღესაც ბრძოლა ჯერაც არ დამცხრალა ნაციონალისტ მკვლევართა და მეცნიერულად მოაზროვნე კრიტიკოსთა შორის. მიუხედავად ამისა, ჩვენ უკვე სარწმუნოდ ვიცით, რომ ამ საუკუნის ერთი კლასიკური რომანი „ვისრამიანი“ პირდაპირ სპარსულიდან არის ნათარგმნი; ქართულ რომანტიზმის სხვა ძეგლთა შორის შეგვიძლია მიუთითოთ მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანზე“. ეს ნაწარმოები შედგენილია განსაკუთრებით სპარსულ ლიტერატურის ზედგავლენით.

ჩვენ გვერდს ვუხვევთ ფრიად საკამათო საკითხს „ვეფხის ტყაოსნის“ გარშემო, მაგრამ ავღნიშნავთ კი, რომ მგოსანმა განსაცვიფრებელი სისწორით ასწერა პოემაში გმირებიც და მათი ხასიათი, ზნე-ჩვეულებანი, სწორედ ისე, როგორც ეს შეჰფეროდა მაჰმადიანთა ქვეყნის შვილებს. მარტო ეს ფაქტიც ჰკმარა იმის დასამტკიცებლად, თუ რა გავლენა მოუხდენია მაზე სპარსულ ლიტერატურას.*) ირანის ასეთი ზედგავლენა წამ და უწუმ შეუძლებელსა ჰყოფს გადაჭრით ითქვას რამე, რამდენად თავისებურია ესა თუ ის მოვლენა უძველეს ქართველთა ცხოვრებაში, არის ის ორიგინალური თუ აქაც განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როგორც გადმოღებულთან, რაც არავითარი რეალი, ისტორიული მნიშვნელობა არა აქვს ერისათვის.

ამას უნდა დაერთოს მესამე დაბრკოლებაც. რაკი-ღა საქართველომ ბევრი შფოთი განიცადა, არევ-დარევა, უძველეს ლიტერატურის ნაშთებმაც ვერ მიაღწიეს ნამდვილი თვისი სახით, ბევრი მათგანი აღრეულია, გადამწერალთა მიერ შერყვნილი. ამ მხრივ ყველაზე მეტი ზიანი სწორედ „ვეფხის ტყაოსანს“ მოუვიდა. ამ პოემას ზიანი მიაყენა არა თუ საუკუნეთა აღრეულობამ, არამედ ბერ-მონოზანთა იერიშისა გამო, რომელნიც სცდილობდნენ მის მოსპობას ჯერ კიდევ თამარის დროიდან, როგორც ანტიქრისტიანულ ხასიათისა და ფრიად მავნე ნაწარმოებისას. იყვნენ ისეთნიც, რომელნიც მოსპობის ნაცვლად შეკეთებას ჰლამობდნენ. ამ მიზნით ბევრმა თავისი აზრები ჩაურთო, გამოაკლო, გააფართოვა, შეამოკლა. ერთი სიტყვით შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასე შერყვნილი სახით არც ერთს ნაწარმოებს არ მიუღწევია ჩვენამდე, როგორც „ვეფხის ტყაოსანს“.

ირანული ზედგავლენა და ისტორიული ხასიათი ხელნაწერებისა ქართველთათვის თვითეულ სასიქადულო პოემას (მეთორმეტე საუკუნისას) ამგზავსებს კეკლუც ქალის სინარნარეს, რომელსაც თავიდან ფეხამდე სპარსული ლეჩაქი მოუხვევია. თუ გვსურს შიშველვყოთ ქართულ ნაწარმოების ჩონჩხი, უნდა ეს უცხოური და უკანასკნელი ხნის საბურველი მოეხადოს. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ საბურველის მოხდა ფრიად ძნელია, მისი მოხდით ხშირად კანსაც ვაცლით, რაიც ნაწარმოების განუყოფელ ქერქად უნდა ყოფილიყო დარჩენილი.

*) ჩვენ ეს გარემოება ოდნავაც არ გვაშფოთებს. პირიქით, გვახალისებს კიდეც, რომ რუსთაველმა ასე გენიოსურად ამოსწურა სიბრძნე აღმოსავლეთისა, ასე ზედმიწევნით შეისწავლა იქაური ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, რომ დღევანდელ მკვლევართ ჰგონიათ, შოთას იქ უცხოვრია და ისე უწერიაო. გენიოსთა ხვედრია ასეთი წერა. შექსპირი როცა რომაულ ცხოვრებიდან იღებდა სიუჟეტებს, ნამდვილი რომაული გეგონებოდათ, ვენეციიდან—ვენეციელი, დანიიდან კიდევ, დანიელი. მხოლოდ სუსტ მწერლების ხვედრია უცხო სიუჟეტის აღება. მხოლოდ ქურქის წამოსხმაში გამოჰხატონ ხოლმე, ზერელედ, ყალბად...

მთარგმნელის შენიშვნა.

IV

ქალის კულტის გამოკვლევა ქართული ლიტერატურის მიხედვით ფრიად შესუმბუქდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა აკად. მარრის შესანიშნავი თხზულება. შეიცავს სპეციალ გამოკვლევას „ქალის კულტის“ შესასწავლად პოემის მიხედვით. მხოლოდ ამ ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ შესაძლებელი გახდა წყვდიადის გაფანტვა. მარრი ემყარება საშუალო საუკუნის ქართულსა და სპარსულს ლიტერატურას, იკვლევს იმ დროინდელ სატრფიალო პოეზიას, ამ გამოკვლევის თანახმად ქალის კულტი საქართველოში იხსნის გამოცანა საბურველს და პატრიოტულ კვლევაძიების საგნის ნაცვლად მეცნიერულად დასაბუთებულ ფაქტად გარდაიქმნება. ამიტომაც შემდეგში ფართოდ ვისარგებლებ იმ დასკვნებით, რასაც დაადგა პროფ. მარრი.

გაიდეალიზებული სიყვარული ძირითადი საგანი გახლავსთ შოთას პოემისა. შეიძლება ითქვას, რომ იგი წინასწარი განზრახვით სწერს ამ პოემას, რათა ეს ტრფიალი გამოჰხატოს მთელი თვისი მომაჯადოვებელი თვისებით. პოემის შესავლის ტაეპები წარმოადგენენ შეუდარებელს უვერტიურას, როგორც სილამაზით, ისე დიადი აზრების ჩამოქანდაკებით. შოთას აზრით არსებობს ორგვარი სიყვარული. ერთი არის დაუდგრომელი, ცვალებადი, ანუ პოეტის სიტყვით რომ ვსთქვათ, „ბილწი, გრეში“. ასეთს სიყვარულში სული არ იღებს მონაწილეობას, იგი უაღრესად ტლანქია, მის სანუკვარ სწრაფვას შეადგენს „ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში“. ასეთი სიყვარულით გატაცებული ადამიანი ადვილად იტანს საყვარლის განშორებას, „დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასაო“,—ამბობს მგოსანი. ასეთ სიყვარულის მაგალითი მოგვცა თვითონ მგოსანმა ხანმოკლე, იძულებითი დამოკიდებულება რო აგვიწერა ავთანდილისა ფატმანთან. ამ ქალის მოხვევნის დროს ავთანდილი როდი იშურებს ტუჩებს, ჰკოცნის, მაგრამ იმავე დროს თითქმის უზრდელად შეჰნიშნავს ფატმანს პირშივე; „ყვავი რომ ვარდსა იშოვის თავი ბულბული ჰგონიაო“,—ეს იყო პასუხი ფატმანის გატაცებულ გრძნობებზე, მის წერილის გასაცრუებლად, სადაც ეს ვნებისთვის გადამყოლი ქალი მას ახასიათებს როგორც „ვარდს“, რომელსაც „ბულბული ეჭირვებოდა“.

ასეთი როდია მეორე გვარი სიყვარული, ანუ მიჯნურობა: უმაღლესი ტრფიალების დანიშნულებაა შორით დგომა, შორით წვა და დაგვა საყვარელ არსებისთვის. „კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასაო“,—ამბობს მგოსანი და ბოლოს დასძენს

„ჰხამს, თავისსა ხვაშიადსა
არავისთან ამჟღავნებდეს.
არ ბედითად ჰაი ზმიდეს,
მოყვარესა აყივნებდეს,
არსით უჩნდეს მიჯნურობა,
არა სადა იფერებდეს,
მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს,
მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს“.

პოემაში ასეთ სიყვარულის განხორციელებას ჰპოვებენ ავთანდილი და თინათინი ერთის მხრით, ხოლო მეორე მხრით ტარიელი და მისი ნესტანდარეჯანი. სიყვარულით გატაცებული იგინი უარს ამბობენ ამ ქვეყნიურ სიტკბოებას, გარბოდნენ ველად, უდაბნოში და მთელი ათი წლობით გონების თვალით დასტრიალებენ საყვარელ არსების სახეს.

მიჯნურობის საზოგადო განსაზღვრის გარდა შოთა შესავალში მთელს კოდექსს იძლევა სიყვარულის შესახებ, რასაც აუწერელი მნიშვნელობა აქვს საშუალო საუკუნის ქართველთა მსოფლმხედველობისთვის. ამ კოდექსის თანახმად:

„მიჯნურსა თვალად სიტურფე
ჰმართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე,
სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა,
მძლეთა მებრძოლთა მძლეობა“...

მიჯნური უნდა იყოს გონიერი, ენა მახვილი:

„ვისცა ეს სრულად არა სჭირს,
აკლია მიჯნურთ ზნეობა“-ო.
ამბობს მგოსანი

ასეთი თვისებით დაუჯილდოვებია მგოსანს თავისი გმირები, ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვები. აი, მაგალითად, სურათი რაინდულ სიყვარულით გატაცებული ავთანდილისა: მოწყვეტილ ვარსკვლავსავით ეული, ჩასხმული, ძოწეულ სამოსით, ელვასავით მკვირცხლი; „ჯერ უწვერული, სადარო ბროლმინა საცნობარისა“, ტურფა ვაჟკაცი „საროსა მჯობი, ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა“. იგი მარჯვეა, მოკისკასე, არ ეკრძალება, რომ თვით მეფე როსტევანიც კი გაიწვიოს ბრძოლაში. იგი ჭეშმარიტი რაინდია, უკრავს ფანდურზე და საუცხოვო მომღერალიცაა. ერთი სიტყვით, ავთანდილი ყველა ღირსებით შეამკო, რაიც შეყვარებულისთვის ასე რიგად საჭიროა არის.

როგორც რაინდი, შეყვარებული თავის სატრფოს მორჩილი ვასალი უნდა იყოს. თინათინი ავთანდილს გაჰგზავნის გადაკარგულ ტარიელის საძებნელად და ასე ეუბნება:

„ასე გითხრა, სამსახური
ჩემი გმართებს ამად ორად:
პირველ ყმა ხარ, ხორციელი
არვინა გყავს შენად სწორად,
მერმე ჩემი მიჯნური ხარ,
დასტურია, არ ნაჭორად;
წადი, იგი მოყმე სძებნე,
ახლოს იყოს თუნდა შორად“.

გამიჯნურებისას კეკლუცნი უბრძანებენ თავიანთ სატრფო რაინდებს რაიმე საგმირო საქმე ჩაიდინონ. „წა, შეები ხატაველთა, თავი კარგად გამაჩვენე“,—ეუბნება ნესტანი წერილში ტარიელს და აიძულებს ნორჩი ჭაბუკი წავიდეს სახელის მოსახვეჭად.

(შემდეგი იქნება)

ვ. გურკო.

ქერქისა. მოკლე ხანში კავშირი საკუთარ ქარხანასა ხსნის კავკასიაში ამ ნივთიერებათა დასამუშავებლად.

**სამოსწავლო ოლქის უფროსმა** განკარგულება მოახდინა რათა გადამდებ ავადმყოფობის აღმოჩენის დროს არამც თუ მოწაფეებს აგრეთვე მასწავლებელთაც და სასწავლებლის მსახურთ აეკრძალოთ სასწავლებელში სიარული იმავე ვადით რა ვადაზედაც ეს მოწაფეებსა აქვთ აკრძალული.

**დიმიტრი** ივანეს ძე მაყაშვილმა შესწირა ასი ცალი ლოცვანი თელავის განყოფილებას ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისას, რომელიც დიდ მადლობას უცხადებს.

ბრძოლის ველზე სიმამაცისთვის ანნას მეორე ხარისხის ჯვარი ებოძა ოფიცერს **ახვლედიანს, ღარიბაშვილს, და ყარაშვილს.**

პოდპორუჩიკობა ებოძა პრაპორჩიკებს **თ. ჩოლოყაშვილს და გედევანიშვილს.**

**დღესასწაულის გამო.** ხვალ, 21 გიორგობისთვეს, წარმოდგენებისა და გასართობების გამართვა საჯარო ადგილას აკრძალულია.

**კონცერტი ლაზარეთში № 12.** 18 გიორგობისთვეს № 12 ლაზარეთის ადმინისტრაციამ მიიწვია სახაზინო ოპერის მსახიობნი ქ-ნი მიტკევიჩი, ბ-ნნი: ნიკულინი, მაჩალინი და ჩიგიანი, რომელთაც სიამოვნებით მიიღეს მიწვევა, და გაუმართეს ლაზარეთში მყოფთ დაჭრილ და დაავადმყოფებულ ჯარის-კაცთ, უფასო და მეტად საინტერესო კონცერტი. ნასიამოვნები ჯარის კაცნი უფრო მეტად აღფრთოვანა ლაზარეთის გამგემ შ. ზედგინიძემ, დაუკრა პიანინოზე; აცეკვა და შემდეგ რამდენიმე ხალხური ჰანგიც ამღერა, რამაც დიდათ ასიამოვნა ავადმყოფები.

**სანოვაგეთა გახმობა.** ტფ. საბალოსნო სკოლაში უკვე თავდება შენობის აგება ბოსტნეულთა სახმობ ქარხნისა, რომელიც სკოლის გამგე პ. გ. მელია აშენებს შენობა 7 ათას მანათამდე ჯდება.

**„კორბოზის ნაწარმოებნი“** ქალაქის სასანიტარო კომისიამ 18 ამ თვეს დაათვალიერა გასტრონომიულ მაღაზიის „კორბოზის“ ქარხანა ფრანგების ქუჩაზე. ქარხანა მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩნდა გოჭის ხორცი უდალო და უბექდო. პატრონი პასუხისგებაში მიიცემა.

**გაფიცვა ქალაქის სასაკლაოზე.** 18 გიორგობისთვეს ქალაქის სასაკლაოზე მიკროსკოპიულ სადგურში მოსამსახურე ქალები, რიცხვით 14—15 გაიფიცნენ, რადგანაც უფროსი ბეითალი დრეიმანსი მეტათ უდიერად და უზრდელად ეპყრობა თურმე. საქმე დირექტორამდე მივიდა დირექტორმა ქალები დაითათბირა, ხოლო დრეიმანს მათს წინაშე ბოდიში მოახდევინა.

**რძით ვაჭრობა.** ყოველ დღე, ტფილისის სადგურზე სხვა და სხვა მხრიდან ქალაქში რძე შემოაქვთ. სადგურზე ქალაქის სასანიტარო კომისიის წარმომადგენელნი ხვდებიან და ამ რძეს გამოსაკვლევათ ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიაში გზავნიან, სადაც რძის პატრონთ უხდებათ დიდი ხნით გალოდინი, ვიდრე ლაბორატორია მოიკვლევს. შეიძლებოდა ამ რძის გამოკვლევა ლაბორატორიას სადგურთანვე მოეწყო და რძის პატრონნი გაეხთავისუფლებინა ლოდინისაგან.

**ღვინით ვაჭრობის განახლება.** გუშინ, 19 გიორგობისთვეს, მთავრობის ნებართვით განახლდა საწყობებში ღვინის გაყიდვა.

**სურსათი.** 16 და 17 გიორგობისთვეს რკინის გზით შემოიტანეს ბილისში: ფქვილი 44 ვაგ., შაქარი 2 ვაგ., მარილი 2 ვაგ., კარტოფილი 2 ვაგ., სიმინდი 1 ვაგ., ქერი 4 ვაგ., შეშა 7 ვაგ., ხორბალი 1 ვაგ., ხილი 1 ვ., ნავთი 4 ვაგ.

**მეფის ნაცვლის თანაშემწე.** როგორც სარწმუნოდ გადმოგვცეს, პეტროგრადიდან მიღებულ დეპეშის თანახმად, მეფის ნაცვლის თანაშემწედ სამოქალაქო საქმეთა განყოფილებისა დანიშნულია მისი უმაღლესობის, მეფის ნაცვლის, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ამალის წევრი თავ. არლოვი.

**უბედური შემთხვევა.** 28 გიორგობისთვეს, საღამოს 5 საათზე, ოლღას ქუჩაზე ვიღაც უცნობი კაცი ტრამვაის ვაგონს მოჰყვა და სასიკვდილოდ დაშავდა.

**გადამდები სენი.** 19 გიორგობისთვეს ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ხოლერიანი 7 ქუნთრუშიანი 138, სახადიანი 36, საოფლიანი 41, ხუნაგიანი 14, ყვავილიანი 2 და მუცელაიანი 1 კაცი.

**ს. ზემო-ბოლი.**

14 გიორგობისთვეს აქ შესდგა ადგილობრივ მცხოვრებთა კრება. საგანი კრებისა იყო ადგილობრივი სამკითხველოს საქმის მოწესრიგება. კრებას დესწრო წ.-კ. საზოგადოების სკოლებისა და ბიბლიოთეკების მეთვალყურე გრ. ბურჭულაძე. ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოს პასუხისმგებელ გამგედ კრებამ ერთხმად აირჩია ადგილობრივი მცხოვრები მ. ლ. კვალიაშვილი. გამგეობის წევრებად ამორჩეულ იქმნენ გ. ა. შანშიაშვილი, ა. ე. მაისურაძე, ალ. კაკაბაძე, კ. მოსიაშვილი. შესდგა სამკითხველოს შემნახველი წრე, საწევრო წლიურ გადასახადით. დაწესდა თითო მანეთი. გამგეობა უკვე შეუდგა სამკითხველოს მდგომარეობის განხილვას.

### შეცდომის გასწორება

18 გიორგობისთვის ფელეტონში „უმეფობა“, შეცდომით დაბეჭდილია ერთი ფრანგული ფრაზა, რომელიც ასე უნდა იკითხებოდეს: Il y a un Ilia არის ერთი ილია).

---

**უქმის გამო ჩვენი გაზეთის სურათებიანი დამატება შაბათის ნომერს გაჰყვება.**

**მოთავსებულია:** სურათები წ.-კ. გ. საზ. 35 წლის არსებობის გამო, **დამფუძნებელ მოღვაწეებისა: ილია ჭავჭავაძისა, დ. ყიფიანისა, ი. გოგებაშვილისა, ბ. ლოლობერიძისა, ვ. თულაშვილისა, გიორგი ქართველიშვილისა, ს. მესხისა, ნ. ცხვედაძისა, ექ. გაბაშვილისა, ან. წერეთლისა, გამგ. თავმჯ. გ. ყაზბეგისა, დ. კარიჭაშვილისა და სხვათა. სურათები სკოლებისა და სხვ. ლექსი სანდრო შანშიაშვილისა, გ. ტაბიძისა და სხვათა. რაბინდრანათ ტაგორიდან. ბრძოლის ველზე—ოფიცრის წერილიდან და სხვა. კარიკატურა.**

---

**უმორჩილესად გთხოვთ მოგვაწოდოთ ყოფილ გამგეობის წევრთა სურათები:**

**მღ. დ. ჯანაშვილისა, გ. თუმანიშვილისა, ივ. მაჩაბლისა, ვ. ყიფიანისა, ა. მირიანიშვილისა, გ. იოსელიანისა, ა. ფურცელაძისა, დ. ბაქრაძისა, რ. ჯაჯანაშვილისა, დ. ფავლენიშვილისა, ს. მაჩაბლისა, გრ. ვოლსკისა, ალ. ჭიჭინაძისა, ე. თაყაიშვილისა, ნ. ხიზანაშვილისა, თ. ჟორდანიასი, ი. მეუნარგიასი და აგრეთვე სურათები ახალ გამგეობისა.**

# წ. კ. გ. ს. წლიური კრება

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განსაკუთრებითი ადგილი და მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში. მან პირველმა შემოიკრიბა ჩვენი მოღვაწენი ეროვნულ საქმის გარშემო და აი ოცდაათი წლის განმავლობაში მანვე აღიბეჭდა თავის გულზე ეროვნული საქმის ზრდა. მართალია, ერთი შეხედვით თითქოს არც ისე დიდი რამ გაკეთებულა თვით საზოგადოებაში, მაგრამ სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ ბევრი რამ კარგი მის გარშემო შობილა. ამ მხრივ წერა-კითხვის საზოგადოების ისტორია არის მცირე მაშტაბით თვით ისტორია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა. ამ საზოგადოებრიობის ზრდას და პროგრესს ახასიათებს—დემოკრატიზაცია და დიფერენციაცია, დანაწილება შრომისა. რამდენადაც წინ მიდის ჩვენი ცხოვრება, რამდენათაც ემჩნევა მრავალფეროვნობა მის მსვლელობას იმდენათ მის ყოველივე სპეციალ დარგს უჩნდება სპეციალი ქომაგი, მზრუნველი და პატრონი საზოგადოება. ფართოვდება წრე მომუშავეთა, იზრდება თვით საქმე დემოკრატიის ჩარევის წყალობით. ეს არის კანონი ჩვენი ცხოვრებისა და ამ კანონის შეუჩერებელ მოქმედებაში სძევს საწინდარი ჩვენი წარმატებისა.

არსად ისეთი აშკარა სახე ამ კანონს არ მიუღია, როგორც წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ცხოვრებაში.

დაარსების პირველ ხანებში წერა-კითხვის საზოგადოება ერთად ერთი დაწესებულება იყო და თავს კი მრავალი ნაირ-ნაირი საქმე უდევია. ამის გამო, ხშირად თავისი უმთავრესი დანიშნულება დაუვიწყნია წ. კ. საზოგადოებას და შეუწირავს სხვა საქმისათვის. დრო მიდიოდა და წერა კითხვის საზოგადოების გარშემოც იბადებოდა სხვა და სხვა საზოგადოება, რომელნიც ინაწილებდენ წერა კითხვის საქმეს და ტვირთს უმსუბუქებდენ მას; ამის წყალობით ხსენებულ საზოგადოებას დრო და საშუალება ეძლეოდა მთელი თავისი ძალა და ღონე, ენერგია და მუყაითობა თავის უმთავრესს დანიშნულებისათვის შეეწირნა. შეგნებაც ერში იზრდებოდა, თანდათან მრავლდებოდა რიცხვი ეროვნულ სარბიელზე მშრომლებისა და წ. კ. ს-ბაც აფართოვებდა თავის წევრთა წრეს. დღეს უკვე საზოგადოების მოქმედების ტიპის შესახებ გარკვეული აზრი ტრიალებს. ყველა იმ აზრისაა რომ რაც შეიძლება შემოიფარგლოს სფერო მოქმედებისა, ჩამოშორდეს საზოგადოებას ყველაფერი, რაც არ შეადგენს მის პირდაპირ დანიშნულებას, მიეცეს მას საშუალება მთელის თავისის ძალ-ღონით ემსახუროს ერთს მეტად დიდს და მნიშვნელოვან საქმეს—საქმეს ერში წერა-კითხვის ცოდნის შეტანისას.

აი, ამ გზით უნდა იაროს მომავალში ჩვენმა საზოგადოებამ.

ეს უნდა გვქონდეს მხედველობაში იმ საკითხების გადაწყვეტის დროს, რომელიც წრევანდელ საზოგადო კრებაზე იქნება წამოყენებული. განსაკუთრებით ყურადღებას ამ მხრივ სამი საკითხი იპყრობს. ეს საკითხებია: საკითხი საწევრო ფულის შემცირებისა, საკითხი საზოგადოების მუზეუმის ს. ს. ს. ს-ბისათვის გადაცემისა და მესამე—„განათლების“ საზოგადოების მიერ განზრახულ ქალთა სემინარიის დახმარების შესახებ. ჩვენ უკვე შარშან გამოვსთქვით ჩვენი აზრი პირველი საკითხის შესახებ. კიდეც ვეცადეთ მის სათანადო გადაჭრას. იქამდი სამართლიანი, გონიერ და ეროვნულის მხრივ სასარგებლო, აუცილებელ და ცხოველმყოფელ რეფორმად მიგვაჩნდა საწევრო ფულის შემცირება, რომ ოდნავათაც ეჭვი არ შეგვპარია მის მალე განხორციელებაში; გვაკვირვებდა მხოლოდ უაზრო და უადგილო გაჯიუტება გამგეობისა და იმ წრისა, რომელიც გამგეობას მხარს უჭერდა. წელს თვით გამგეობას შემოაქვს ეს საკითხი. კრების თანაგრძნობა და ერთსულოვანი დასტური, რაშიაც ჩვენ არავითარი ეჭვი არა გვაქვს, დაგვანახვებს რომ ჩვენ იმედში არ მოვტყუებულვართ.

მეორე საკითხს მუზეუმის გადაცემის საკითხს—იცნობს ჩვენი საზოგადოება. ეს საკითხი ამ რამდენიმე წლის წინად იყო საერთო კრების მსჯელობის საგნად და მხოლოდ ოთხი ხმის უმეტესობით უარჰყვეს ეს საკითხი მას შემდეგ, თუმცა დიდ ხანს არ გაუვლია, მაგრამ ცხოვრებამ ბევრი რამ გვასწავლა. ამ ხნის განმავლობაში ვსცანით მაგალითად დიდი ეროვნული ღირებულება და ენერგიის დაუშრეტელობა იმ საზოგადოებისა რომელმაც თავს იდვა ჩვენი სიძველეთა შეგროვება, მოვლა—შესწავლა და მუზეუმის დაარსება. ჩვენ მოგახსენებთ საქ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაზე, რომელსაც კარგად იცნობს ყოველი შეგნებული ქართველი და რომელსაც დიდი ნდობით და სიყვარულით ეკიდება იგი. დაუზოგავად და უხვად შეაქვს თავისი წვლილი ამ საზოგადოების გასამდიდრებლად ყოველ თავის სიძველისა და კულტურის ნაშთის მათაყვანებელ ქართველობას.

იმ გარემოების გამო რომ ქართველობა განსაკუთრებულის გულისყურით მოეკიდა საქარ. საისტ. საისტ. საეთნ. საზოგადოებას, და მთელი შემოწირულობა აქ მოდის. სამუზეუმო საქმე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან ერთ ადგილას გაიყინა, წინ აღარ მოდის—აქ აღარავითარი შემოწირულება აღარ შემოდის. უფრო საგულისხმიეროა, უფრო კი ირონიაა იმ ხსენებულ დადგენილებაზე, ის გახლავთ, რომ წ.-კ. საზოგ. წარსულმა საერთო კრებამ თავისი მუზეუმის გამგე სექციაში ს. ს. ს. ს-ში გამგეობა ამოირჩა თითქმის incorpore ამით უეჭველია ის სიმართლე დაადასტურა, რომ მუზეუმის საქმე წ.-კ. ს-ში საქმე არ უნდა იყოს წრევანდელ კრებაზე მოვალენი ვართ ძველი მოუხეშაობა აღარ ჩავიდინოთ, მოვაშოროთ წ-კით. ს-ბას მეტი ტვირთი და გადავცეთ იმ საზოგადოებას, სადაც მას ჩვენ შემოქმედობის სხვა ნაშთებთან ერთად მართლა შესაფერისი ადგილი მიეკუთვნება და საკუთარს სახესაც გამოიჩენს, მით უმეტეს, რომ საქ. საის. ს-ბა კისრულობს ისეთს პირობებში მიიღოს წ.-კ. ს-ბის საგანძურე, რომ უკანასკნელ საზოგადოებას სრულს პატრონობის უფლებას შეუნახავენ. იმედია ესეთი შეგნება ექნება წლევანდელ საზოგადო კრებაზე მიმავალ ყოველ წევრს. იმედია სურვილი ეროვნული მუზეუმის ღირსეულად მოწყობისა ისეთს გადაწყვეტილებას გამოატანინებს კრებას, რომელიც შეგვაძლევინებდეს სრულად ვიამაყოთ ჩვენის წარსულით. და მით აკმაყოფილებდეს ორივე საზოგადოების ინტერესს და ჩვენს საერთო ეროვნულ თავმოყვარეობას. მესამე საკითხი არის საიკითხი ქალთა სემინარიის დახმარების შესახებ.

ფართო საზოგადოებამ უკვე იცის, რომ „განათლების“ საზოგადოების მეცადინეობით ამ ფრიად საჭირო საქმეს საძირკველი თითქმის ჩაეყარა.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს—ყოველს ერს, რომელსაც სიცოცხლეზედ უარი არ უთქვამს, უპირველეს საზრუნავ საქმედ სწავლა-აღზრდის საქმე უნდა ჰქონდეს. თუ სკოლა, სწავლა-აღზრდის საქმე საღად არ არის დაყენებული—ყოველივე ცდა საღ ეროვნულ ცხოვრებაზე ამაო არის.

თუ როგორ არის დაყენებული ეს საქმე ჩვენში—ამაზედ სჯობს რომ არ ვილაპარაკოთ. ჩვენმა უფლება-ახდილმა ცხოვრებამ, სამშობლო ენის დევნამ, საკუთარმა დაუდევრობამ და მოვალეობის წინაშე დანაშაულობამ ისეთი ხასიათი მიიღეს, ისეთი ნაყოფი გამოიღეს—რომ მის წარმოდგენასაცკი სასოწარკვეთილებამდის მიჰყავს კაცი.

აზრი შეჩერდა, ფიქრი მოკვდა, არავითარ პედაგოგიურ—აღმზრდელობით მოძრაობა ჩვენში არ არსებობს. შარშან ისეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი, რომელსაც უნდა დაერღვია ეს სამარისებური მყუდროება. 1 ივლისის კანონს უნდა შევენძრიეთ, უნდა დაბადებულიყო სურვილი და ცდა ახალი სკოლის შექმნისა, სადაც სამშობლო ენაზე შეიძლებოდა საგნების შესწავლა.

ჩვენ, მყუდროებას ვერ დავძლიეთ. ხოლოთ „განათლების“ საზოგადოება ამოძრავდა და ახმაურდა. მათ განიზრახეს ქალთა სემინარიის დაარსება, რომელიც აღზრდიდა ჩვენთვის საჭირო მასწავლებელს.

საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდა. თავად-აზნაურობამ, კერძო პირებმა საკმაო თანხა შესწირეს, წ. კ. გ. ს-ბის გამგეობას კი უარი უთქვამს—სახსრის უქონლობის გამო. ეს ჩვენთვის გაუგებარია. საზ.-ბაა ყველაფერს თავი უნდა დაანებოს და ამ საქმეს კი როგორმე დახმარება გაუწიოს. სწორედ წ. კ. ს-ბას ესაჭიროება მასწავლებლები. თუ დღეს მისი უმთავრესი დანიშნულება—სკოლები ასეთს უნუგეშო ყოფაში არიან—მით რომ არა ჰყავთ მასწავლებელი და ვერც შეჰქმნიან, თუ საკუთარი სამასწავლებლო სემინარია არ გვექნება. არის ერთი მოვლენაც, რომელიც უფრო სხვა, აუცილებლობის ქურქს ახვევს ამ მოსაზრებას. დღეს სამინისტროში მუშავდება საიმპერიო დებულება—საყოველთაო სწავლის შემოღების შესახებ.

წარმოდგენილი გვაქვს, რა კეთილს მოგვიტანს ეს არსებითად კეთილი მოვლენა, როდესაც საკუთარ მასწავლებელთა მოკლებული, ჩვენ სოფელს გადამთიელნი მოეფინებიან და უცხო ენაზე დაიწყებენ წერაკითხვის შესწავლას ჩვენი შვილები. ამან ძალიან უნდა დააფიქროს ყველა ქართველი და ყველაზე მეტად კი წ. კ. გ. ს-ბა.

სახსრის უქონლობით აქ ვერ გავიმართლებთ თავს. განსვენებულ ალექ. სოლ. ხახანაშვილის თანხის შემოსავალი სწორედ ამ საქმეს უნდა მოხმარდეს. განსვენებული ზვარაკად დაედო იმ აზრს, რომ ჩვენ ხალხში ცოდნა შეგვეტანა და გვეხსნა იგი გაუნათლებლობისა და უმეცრებისაგან. სემინარიაზე, მასწავლებლების აღზრდაზე დახარჯვა განსვენებულის ნაამაგდარისა უღრმესი პატივისცემა და საუკეთესო ძეგლი იქნება მის ხსენების წინაშე და გონიერი ნაბიჯი ეროვნულ საქმეში.

ვნახოთ, რა მალამოს დასდებს კრება ამ ყოვლად საჭირო საკითხებს.

 შ. ივერი.

# ქართ. საქველმოქმედო საზოგადოებაში

მეფის ნაცვლის სასახლეში მომხდარ თათბირის დადგენილების ძალით ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას შემდეგნი უფლებანი მიენიჭა: 1) მონაწილეობა მიიღოს იმ ათბიროში, რომელიც სწარმოებს თბილისში მიწად-მოქმედების სამინისტროს, ბ-ნ შაშკოვსკის, თავმჯდომარეობით და ხელმძღვანელობით და რომელიც კანონის ძალით უმთავრეს ორგანოს შეადგენს ხალხის გამოკვების საქმეში; 2) მონაწილეობა მიიღოს საგუბერნიო სასურსათო თათბირში, რომელიც სწარმოებს ადგილობრივ გუბერნატორის თავმჯდომარეობით; 3) საზოგადოების განყოფილებებმა ცნობები უნდა შეკრიბონ თავიანთ მოქმედების რაიონში სურსათის საჭიროების რაოდენობის შესახებ და მთავრობის დახმარებით ნასყიდი და მიზიდული სურსათი გაუნაწილონ სოფლებს საჭიროების კვალობაზე, რისთვისაც უნდა მოიპოვონ სურსათის შესაფერისი საწყობები; 4) საზოგადოებას ნება მიეცა მოახდინოს თავისს სამოქმედო რაიონში: რეკვიზიცია, ე. ი. კერძო პირთ ჩამოართვას სურსათ-სანოვაგე საერთო საჭიროებისათვის, დაწესებულ ფასებში.

საქველმოქმედო საზოგადოებამ და მისმა სასურსათო კომისიამ გადასწყვიტეს ისესხონ მთავრობისაგან უსარგებლოდ 3 მილიონი მანეთი ხორბლისა და სიმინდის შესაძენად. ამ ფულით, უკვე არსებულ კანონის ძალით, შეკვეთილ სურსათ-სანოვაგეს იყიდის თავისი მოხელეების დახმარებით მიწადმოქმედების სამინისტროს მთავარი რწმუნებული და საქველმოქმედო საზოგადოებას ჩააბარებს ამა თუ იმ სადგურში. შემდეგ საზოგადოებამ უნდა უპატრონოს საქონელს და ღირებულობის კვალობაზე მიჰყიდოს დამშეულ სოფლებს. აღებული ფული დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს მინისტრის რწმუნებულს, რომელიც ამ ფულით ხელ-ახლა შეიძენს საკვებს. საზოგადოების გადაწყვეტილება უკვე მოხსენდა ბ-ნ შაშკოვსკის და მან თანხმობა განაცხადა შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა.

# თელავი

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

მთელი კახეთი რომ დამშეულია, სჩანს თუნდა იქიდან, რომ თელავის საკრედიტო ამხანაგობისაგან მოტანილი პურისა და ფქვილისათვის ნამდვილი ყურთა გლეჯაა გამართული თელავსა, აწყურსა და გურჯაანში; ყოველდღე აუარებელი ხალხი ირევა ამხანაგობათა წინა, აქ არის ქართველი, სომეხი, თათარი, ლეკი და სხვა; გლეხი, აზნაური მღვდელი და თავადი, ვაჭარი, მოვახშე და სხვ. და სხვ. იმდენი ურემია, რომ ერთმანეთს გზას ვერ უძლევენ და ამხანაგობათა მოსამსახურენი ვერ ასწრობენ მიუწონონ და მიუწყონ ყველას თავთავისი ხვედრი. ამასთანავე ბანკებში ხდება სხვა ოპერაციებიც და მათი პატარა ბინები ვეღარ იტევს მოზღვავებულ ხალხსა. უმთავრესი და უსაჭიროესი ოპერაცია ბანკებისა დღეს კახეთის დაპურებაა და მოტანილი რაღაც ოციოდე ვაგონი კი რას გაუხდება მთელ მხარეს. როგორც ვიცით, ბ-ნი ლუკაშვილი სცდილობს კიდევ და კიდევ შემოიტანოს პური, ფქვილი და სხვა სანოვაგეც. მაგრამ დღევანდელ პირობებში ეს მეტად გაძნელებულია, და იგი მარტო ვერ გაუძლევება ამ დიდ საქმეს. საჭიროა, კახეთის საკრედიტო ამხანაგობამ გამოჰყონ თავიანთ შორის ორი სამი კაცი და დაავალონ გაძღოლა ამ საქმისა, რაიც პირდაპირი წინასწარი მოქმედება იქნება მომავალი კავშირისა და ერთბაშად მოუპოვებს ფართო მასის ნდობასაც და საქმესაც წინ წაავდებს. ამ მხრივ კახეთში უკმაყოფილონიც კი არიან, რომ ლუკაშვილი მართალია დიდ საქმეს აკეთებს, მაგრამ ქართველური სენი სდევს თანაო: არავის არ იამხანავებს, არ იკარებს ახლოს და ამიტომ ხშირად შეცდომებსაც აკეთებსო.

მართლაც, როგორც ირკვევა, თელავის საკრედიტო ამხანაგობა ჰყიდის ხორბალსა და ფქვილს არა მარტო თავის წევრებზედ, არამედ გარეშეთა და მოვაჭრეებზედ, რომელნიც თავისი მხრით ასყიდებენ ხალხს დიდი პროცენტის წამატებით. ასეთი გაურჩევლობა მსყიდველისა მხოლოდ მაშინ იქნებოდა მისაღები, როდესაც თელავის საკრედიტო ამხანაგობას შეეძლოს იმდენი პურის შემოტანა, რამნიც დასჭირდებოდა მთელ კახეთს და ზედ მეტი მიეყიდნა თუნდ მოვაჭრეებისათვის, მაგრამ როდესაც მთელ კახეთისათვის მოაქვს რაღაც ოციოდე ვაგონი და იმის ნაწილსაც ვაჭრებზედა ჰყიდის—პირდაპირი ხელის შეწყობაა სპეკულიაციისათვის და ამხანაგობამ ეს არ უნდა იკისროს შეუგნებლად. ეს მით უფრო საჭიროა აღინიშნოს, რომ ლუკაშვილი მოქმედობს, არა როგორც კერძო პირი, არამედ, როგორც ამხანაგობის თავმჯდომარე და მას ამ დიდ საქმის მოწყობაში ეხმარება ქართ. საქ. საზოგადოებაც და სხვანიც, ვინც დაინტერესებულნი არიან საქმის წესიერად და ღირსეულად დაყენებაში. ჩვენის აზრით, ეხლა მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს რაც შეიძლება მეტი პურის შემოტანას და ყველა სხვა ნაკლი ადვილად გამოსწორდება თავის თავადაც.

რაე.

# თბ. თვითმართველობა და ხარფუხის ქართული დრამატ. წრე

20 გიორგობისთვეს 1914 წ., როდესაც ხარფუხის ქართ. სახალხო აუდიტორიის სცენაზე მიდიოდა რეპეტიცია „პატარა კახი“-სა, უცბად შემობრძანდა [illegible] ნაწილის ბოქაული და [illegible] წრის გამგეობას: [illegible] ზემო სართული (აუდიტორია) **ლაზარეთის მოსაწყობადაო** და წრემაც უმალ დაცალა ზემო სართული (აუდიტორია).

ამავე დროს ქალაქმა აღძრა საჩივარი ოლქის სასამართლოში და მოითხოვა წრისაგან 11 ათას მანეთამდე, პირობის დარღვევისათვის.

წრემაც თავის მხრივ უჩივლა ქალაქს პირობის დარღვევა და ზარალიც, რომელიც მიაყენა ქალაქმა წრეს.

ჯერ ეს ორი საჩივარი ოლქის სასამართლოს არ გაერჩია, რომ ქალაქმა ხელახლად შეიტანა საჩივარი ოლქის სასამართლოში და მოითხოვდა, რომ სასამართლოს შეეკრა სახლის ქირები, რომელსაც ღებულობდა წრე ქვემო-სართულიდან (მაღაზიები), თავიანთი საჩივრის დასაკმაყოფილებლად.

ეს გახლდათ, ქრისტეშობისთვეს 1914 წ. როგორც ოლქის სასამართლომ, აგრეთვე სასამართლოს პალატამ, (სადაც ქალაქმა განასაჩივრა ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება), **არ შეიწყნარა** ქალაქის თხოვნა, და წრე კვლავ სარგებლობდა ქვემო სართულის შემოსავლით.

აი ამის შემდეგ, როცა ქალაქი დარწმუნდა, რომ კანონიერის გზით, ვერას გახდება, მიჰმართა არა საკადრის ზომებს:

ქალაქის მოურავმა მისწერა პოლიცმეისტერს ქაღალდი და აუწყა, რომ ქალაქის შიოევისეული სახლი, რომელიც **ქალაქის განკარგულებაშია** და (სადაც ზემო სართული უკვე დაცლილია), მოახდინოს განკარგულება, რათა ქვემო სართულიც დაუყოვნებლივ დასცალონ. კავკ. ქალაქების კავშირის საჭიროებისთვისაო.

28 თებერვალს 1915 წ.—წრის გამგეობამ გუბერნატორთან განასაჩივრა ბ. ხატისოვის განკარგულება და თბილისის გუბერნატორმაც, განიხილა რა წრის საჩივარი, კანონიერად სცნო იგი, და მოახდინა განკარგულება, რომ არ დააცლევინონ მდგმურებს ქვემო სართული.

როდესაც ამ გზით, ქალაქის მოურავი ვერას გახდა, მიჰმართა სხვა ხრიკს: წინათ თუ მოქმედებდა როგორც ქალაქის მოურავი, ეხლა დაიწყო მოქმედება უკვე როგორც კავკ. ქალაქების კავშირის რწმუნებულმა და როგორც ასეთმა, აღძრა შუამდგომლობა კავკასიის სამხედრო ოლქის უფროს წინაშე და სთხოვა: ნება მოგვეცით, რომ ქალაქის შიოევისეულის სახლის ქვემო სართულიც დავაცლევინოთ—კავშირის საწყობისთვისაო, იმ სახლისაო, არწმუნებდა ხატისოვი, რომელიც „ქალაქის განკარგულებაში არისო.

აქაც, ბ. ხატისოვმა იკადრა ტყუილი ცნობით „ფონს გასულიყო“.

სამხედრო ოლქის უფროსმაც შეიწყნარა შუამდგომლობა ხატისოვისა და 9 მედუქნეს დააცლევინეს ქვემო სართულის დუქნები.

წრის გამგეობამ, რა გაიგო საქმის ვითარება და ისიც, თუ რა მოტყუებით ბ. ხატისოვმა მიაღწია წადილს, მიართვა გენერალ ვოლსკის საჩივარი ბ. ხატისოვზე და **საბუთებით ხელში,** დაუმტკიცა ყოველივე სიყალბე ბ. ახტისოვისა:

ბ. ვოლსკიმ, რა განიხილა წრის საჩივარი, კანონიერად სცნო იგი და მოახდინა განკარგულება: დაუყონებლივ დაეცალათ ზემოხსენებული სახლი და გადაეცათ ხარფ. ქართ. დრამატ. წრისათვის.

მაგრამ, ქალაქის გამგეობა არ წყნარდება და ახლა კი, ამ საქმის „კეთილად დაბოლოვებას“, კისრულობს ალ. არღუთინსკი და თავისებურად სურს მოაწყოს საქმე... იგი შუამდგომლობს ბ. ვოლსკის წინაშე და სთხოვს, გააუქმოს თავისი დადგენილება სხვა და სხვა „ახალ მოსაზრებით“.

აი ამ **„ახალის“** საბუთების ძალით, ლენერ. ვოლსკიმ შეიწყნარა ბ. არღუთინსკის შუამდგომლობა, და შიოვისეული სახლი კვლავ დაუბრუნა კავ. ქალაქების კავშირს.

წრის გამგეობა, ღრმად იყო დარწმუნებული თავის სიმართლეში და ვერ მიმხვდარიყო, თუ რაში იყო საქმე და რა არის ეს **„ახალი საბუთები“,**

ამიტომ, წრის გამგეობამ, ბ. ვოლსკის კანცელარიიდგან **გამოითხოვა, პირი ბ. არღუთინსკის მიწერილობისა, გაეცნო მის შინაარსს, და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბ. არღუთინსკიმ, იკადრა თავიდან ბოლომდე, ტყუილი. განზრახ, დამახინჯებული საბუთები მიეწოდებინა ლენერალ ვოლსკისათვის.**

(დასასრული იქნება)

მეთვალყურე.

# სომეხთა ცხოვრება

დღევანდელ სომხის ხალხის მდგომარეობის და სომხური პრესის დანიშნულების შესახებ თბილისელი „ჰორიზონი“ სწერს:

„დღევანდელ უმაგალითო ისტორიულ ხანაში პრესას მეტად დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება. ამ მხრივ ყურადღების ღირსია სომეხთა პრესა. ჩვენი კულტურული მოძრაობა—ლიტერატურა, თითქმის დროთა წიაღში ჩაკვდა. ჩვენ არ გვაქვს ხეირიანი საჭირო წიგნები, არ მოგვეპოვება ხეირიანი თვიური ან კვირეული გამოცემანი. აი ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ჩვენმა გაზეთმა ერთ და იმავე დროს უნდა შეასრულოს მრავალგვარი მოვალეობა, ის უნდა სწევდეს ენციკლობედიობასაც და ყველაფერსაც.

დღევანდელ რღვევა-ნგრევის დროს ყოველი სომეხი მოუთმენლად უცდის გაზეთს, გაზეთს ისეთს, სადაც უნდა იხატებოდეს მისი სულისკვეთება, იშლებოდეს გზის ჩვენება, უკუ აგდებდეს დღევანდელ სომხის უიმედობის ღრუბლებს და გაამხნევებდეს მას.

მსოფლიო ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება, ახალი ხანა დგება სომხებისთვისაც. ერთ დროს გვწამდა, რომ სულ ახლოს ვართ ჩვენს იდეალების განხორციელებასთან, მაგრამ დღეს ღრმად დავრწმუნდით, რომ ხსენებულ იდეალს უფრო დავშორდით.

ჩვენი ეროვნების მნიშვნელოვანი ნაწილი სულს ჰლაფავს ოსმალეთის უღელ ქვეშ, ცეცხლის აზვირთებულ ალს მიეცა სომეხთა აყვავებული სოფელ-ქალაქნი.

ომის ტალღები ყველასთვის შეუბრალებელი იყო, მაგრამ რაც ჩვენ გვეწილადა ის ყველაფერს აღემატება.

საჭიროა დიდი ვაჟკაცური ფხა და უნარი, რომ წაღმა დავატრიალოთ ჩვენი უკუღმა მიმავალი ბედი, უნდა გავიმთელოთ ჭრილობანი, უნდა მალამო დავადოთ ჩვენს მწარე ტკივილებს.

აი, ასეთ დროს მეტად დიდი ამოცანა უძევს წინ პრესას.

ყოველ ქვეყანაში, ერის განსაცდელის დროს, პრესის გარშემო იკრიბება მთელი ეროვნება. ანატოლ ფრანსი მეტერლინკი, ოსტალდი, ბერგსონი, გამოვიდნენ თავიანთ ვიწრო კაბინეთიდან და ხალხი აღაფრთოვანეს საერთო მიზნისთვის.

...მაშ დაიძრეს ადგილიდან სომეხთა ინტელიგენცია, დღევანდელ უბედურების დასაპირდაპირებლად და დაგვანახონ თავიანთი უნარი კალმით მაინც. სომეხთა შეგნებულნი ნუ ჰკარგავენ თავის უნარს უსარგებლო სალაყბო ყრილობებზე და ნუ არიან მხოლოდ გარეშე მაცქერალნი სომეხთა ცხოვრებისა.

...ყველანი გამოჩნდენ საზოგადო სამოქმედო ასპარეზზე, სუყველამ ხმა აღიმაღლოს იმ კათედრაზე, საიდანაც სომხის მებრძოლი ახალგაზრდობა უცდის რჩევა-დარიგებას. მისი მოვალეობაც ეს არის ერის წინაშე“.

---

ბაქოდან რვა გიორგობისთვის თარიღით „ჰორიზონს“ ატყობინებენ, რომ ჰამადანში მდგომარეობა მეტისმეტად გართულდა. სომხები გამორბიან. დღეს ყაზვინს მოატანეს სამმა ოჯახმა, კიდევ ბევრს ელიან. ქაშანის და ისპაჰანის სატელეგრაფო მავთულები დაწყვეტილია გერმანელების მხრით. ყაზვინში მყოფი ჟანდარმები წავიდენ მეამბოხე ჟანდარმებთან შესაერთებლად.

# პროვინციის ქრონიკა

**შავი ზღვის სანაპირო მხარე.**

მაგარს სასმელების აკრძალვამდე აქაურ ღვინოს გასავალი არა ჰქონდა, რაიც საგონებელში აგდებდა მცხოვრებთ. დღიდან მაგარ სასმელთა აკრძალვისა შავი ზღვის სანაპირო მხარის ღვინის არაჩვეულებრივი ფასი დაედო, აქედან ღვინოს იწერდნენ თვით რუსეთის შიდა გუბერნიებში. წელს კი მეღვინეობის და მევენახეობის საქმე მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია, უპირველეს ყოვლისა მას ეჭირვება წამლები გოგირდ-შაბიამანი. საზოგადოდ შავი ზღვის სანაპირო მხარე მეღვინეობისთვის მწირია და უწამლოდ იქ ვენახები ვერ იხეირებენ.

**ს ო ხ უ მ ი.**

რკინის გზაზე მგზავრების შემცირების გამოისობით 18 გიორგობისთვიდან შემადგენლობიდან მოიხსნებიან მატარებელნი: № № 53, 54 რომელნიც დადიოდნენ ფოთსა და სამტრედიის შუა. და № № 81—82 ქუთაის—ტყვიბულის შუა მოსიარულენი.

**სოფ. ჯუგაანი.**

სიღნაღში ღვინით შეზარხოშებულებმა ჩხუბის დროს მოჰკლეს. ხატო კიკელაშვილი

**ს ი ღ ნ ა ღ ი.**

ქალაქში გახშირდა პურის ნაკლებობა, გირვანქა პური 9—10 კაპ. ფასობს.

— სიღნაღმა შეისყიდა ეგრედ წოდებული „საბერძნეთის საბერო მამულები“ რომელზედაც სიღნაღელები მოსახლეობენ.

— 27 წარსულ ღვინობისთვეს გაიმართა ილიას საღამო, საღამომ კარგად ჩაიარა. შემოსავალი სიღნაღის წ. კ. საზ. განყოფილების სასარგებლოდ გადაიდო.

**სოფ. ასპინძა** (ახალციხის მაზრა)

სოფ. ასპინძაში ორ მთის შუა ამოდის სამკურნალო წყალი, რომლის უტყუარი ღირსებაც კარგა ხანია შეამოწმეს ექიმებმა. ამ ჟამად ხსენებული სამკურნალო წყარო სრულიად უპატრონოდ არის მიტოვებული. მას ყურადღებას არ აქცევს არც მთავრობა და არც ჩვენი ხალხი. შარშან ადიდებულმა მტკვარმა წაჰლეკა აქ ერთ მოიჯარადრის მიერ აგებული შენობა და დღეს მთლად გაპარტახებულია აქაურობა. საჭიროა ჩვენმა საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ასეთ საჭირო-სასარგებლო ადგილს.

**კ ა ვ კ ა ვ ი.**

მიუხედავად იმისა, რომ წელს თერგის ოლქში მოსავალი კარგი იყო, კავკავში პურის ფქვილი მაინც დღე და დღე ძვირდება. ფქვილის გაძვირებას ხსნიან მუშა ხელის ნაკლებობით. წინად კავკავში 50—100 უმუშევარი დაიოდა ქუჩებში, ეხლა კი ორ სამ კურტნიან მუშასაც ვერსად შეხვდებით.

**გ რ ო ზ ნ ა.**

წელს გროზნისა და ვედენ-სუნჟენის ოლქში არა ჩვეულებრივი სიმინდის მოსავალი იყო, ყოველ უბრალო მოსახლეს ორი ან სამი ბეღელი აქვს ამოვსებული სიმინდით. ხსენებულ ოლქების მოსავლის ბაზარს ყოველთვის უცხოეთი შეადგენდა, მხოლოდ წელს უცხოეთის გზის დახშობის გამოისობით მცხოვრებნი საგონებელში ჩაცვივდნენ და არ იციან სად უპოვონ ჭირნახულს შესაფერისი ბაზარი. ამ დღეებში აქ მოწვეულია რამდენიმე საკრედიტო ამხანაგობათა თათბირი, რომელმაც ხალხის ნაშრომს გასავალი ბაზარი უნდა აღმოუჩინოს.

**ლანჩხუთი**

8 გიორგობისთვეს მოხდა აქაურ მომხმარებელ საზოგადოების საერთო ყრილობა. ყრილობაზე გამოირკვა, რომ საზოგადოებაში საქმე სასურველად ყოფილა დაყენებული. ხალხმა ძველ გამგეობას ნდობა გამოუცხადა და სთხოვა კლავ დარჩენილიყო.

**დ. ანაკლია**

ადგილობრივ ძალებს გადაუწყვეტია ახლო-მომავალში გახსნას ქართული წიგნთ-საცავ სამკითხველო.

**სოფ. ახმეტა** (თიანეთის მაზრა)

რევაზ ომარაშვილის სახლში მოჰკლეს ლევან ბეწენაშვილი, მკვლელობა რომანიულ ნიადაგზე მომხდარა.

**აბასთუმანი**

სანატორიის შენების დროს ზემო სართულიდან ჩამოვარდა ხუთი მუშა, ორი მოკვდა, ხოლო სამი მძიმედ დაშავდა.

# რაჲ სურს საბერძნეთს?

„Daily Mail“-ში მოთავსებულია ათინელ კორესპონდენტის საუბარი საბერძნეთის იუსტიციის მინისტრ—რალლისთან:

— მოკავშირეთა ჯარი საბერძნეთის მიჯნებს რომ გადმოსცდეს და მის მიწა-წყლისაკენ დაიხიოს, იარაღს აჰყრით თუ არა?

— სრული უაზრობა იქნებოდა ამისი ფიქრი, მაშინ ხომ თქვენს ზარბაზნებს ჩვენი გემებისა და ქალაქებისაკენ მიაბრუნებდით. პირიქით, ჩვენ საკუთარს ჯარს დაგიყენებდით საფარად, რომ თქვენი ჯარი შუაგულ საბერძნეთისაკენ წასულიყო.

— შუაგულისაკენ რომ არ მოისურვონ წასვლა?

— უკეთესი! მაშინ შეუძლიანთ სანგრებში ჩასხდნენ, როგორც ფლანდრიაში.

— მაშინ გარეშე მაცქერლად დარჩებოდით, თუ თქვენს ჯარს დაითხოვდით.

— ჩვენს ჯარს 24 საათში დავითხოვთ, რაწამს თქვენ სალონიკს მიატოვებთო—უთქვამს რალლის—ინგლისის მთავრობა და გაზეთები შეურაცხყოფას გვაყენებენ. ჩვენი ერთად-ერთი სურვილი—მშვიდობიანობაა, თქვენ კი ძალას გვატანთ, იომეთო. ჩვენ არც ბელგეთის ბედი გვშურს არც სერბეთისა! სერბეთი! დიაღ გვიყვარს. მაგრამ რას გავაწყობთ? წარმოიდგინეთ, რომ თქვენი მშობელი დედა, თქვენი მამა, ძმა ან სხვა ვინმე საყვარელი, ვინც თქვენთვის ძვირფასია, წყალში გადავარდა—განა თქვენც თან უნდა გადაჰყვეთ? ჯერ ხომ უნდა დარწმუნდეთ, გადაარჩენთ, თუ თქვენც დაიღუპებით? სხვაფრივ თქვენი საქციელი უაზრო თავისი განწირვა იქნება.

კორესპონდენტი ბოლოს დასძენს, ბერძნებს იმდენად არა ჰსურთ ომში ჩარევა, რომ ყოველი ბერძენი, დაწვებისას ღმერთს ევედრება:

— ღმერთო დღეს აგვაშორე ომიანობაო.

# ფელდმარშალი ჰინდენბურგი

ფელდმარშალი ჰინდენბურგი მამით პრუსიის ძველს წარჩინებულ გვარს ეკუთვნის. მისი საგვარეულო ადის იმ დრომდე, როდესაც ისტორიულ ასპარეზზე ჰოჰენცოლერები გამოვიდნენ, იმპერატორ ვილჰელმის წინაპარნი. ასეთივეა მისი დედის საგვარეულო. ყველა მისი წინაპარნი ერთგულად ემსახურებოდნენ სახელმწიფოს, მეტ წილად სამხედრო სამსახურში ატარებდნენ სიცოცხლეს. ყველანი მემამულეები იყვნენ და ხელმოჭერილადა სცხოვრობდნენ.

ჰინდენბურგის წინაპარნი შვილებს კარგს სწავლა-განათლებას აძლევდნენ. პირველი ცნება გახლდათ უფროსისადმი პატივისცემა და მორჩილება, აგრეთვე საგვარეულო ტრადიციებისა და პროტესტანტული რელიგიისადმი უაღრესი მსახურება. პირადად იყვნენ სასტიკნი. დედები ამ მხრივ არაფრით ჩამორჩებოდნენ.

მომავალი ფელდმარშალი აღიზარდა ამ სასტიკ მკაცრ დისციპლინის ქვეშ. ბავშვობისას მას ყურს უგდებდნენ განმათავისუფლებელ ომის სიდიადით, სხვადასხვაობის ამბების თხრობით. თვით ძიძაც კი სამხედრო ოჯახიდან იყო გამოსული და ბავშვს ალერსის ნაცვლად სასტიკად სჯიდა, თუ იგი ტირილს გაჰბედავდა. „აბა, გასწორდი! წყნარად! მოდი შესჭამე შენი კერძი“! ეტყოდა და თან კოვზით ამოღებულ წვენს შეუბერავდა შესაცივებლად.

როგორც სამხედრო პირის შვილი იგი მიაბარეს სამხედროშივე. თორმეტის წლისა კადეტთა კორპუსში მიაბარეს პანსიონერად, რათა სამხედრო სამსახური კარგად შეესწავლა.

კორპუსში ბავშვებს არ ანებივრებდნენ. აქ მიბარების მეორე დღეს პატარა ჰინდენბურგი დედას სწერს: „შიერი დავწექი... არ შემიძლიან დავიძინო ბალღინჯოებმა შემჭამეს... ყველა მისი წერილები კორპუსიდან სულ შიმშილზე საყვედურს შეიცავს, ბავშვი იმშეოდა, მაგრამ იმავე დროს ომზე ოცნებობდა... ფრანგებთან ბრძოლას. ეს იყო 1860 წელს!

არავითარი პოეზია, გარდა ომის პოეზიისა მას არ აინტერესებდა, არც ერთი ხელოვნება მას ისე არ იტაცებდა, როგორც სიმაგრეების კეთება, 16 წლისამ თავი გაანება მუსიკის გაკვეთილებს, იმიტომ რომ დრო არა მაქვს, რომ ეს მეტად ძვირფასი და ფრიად საცერემონიო სიამოვნება მივიღო.

მკაცრ დისციპლინის ქურაში გამოწრთობილი ჰინდენბურგი პრუსიელ აფიცრის ყველა ღირსებით იყო დაჯილდოვებული. იგი მამაცურად იბრძოდა 1886 და 1870 წლებში, მაგრამ შემდეგ მივიწყებული იქმნა თავის ტოლთა შორის. სცხოვრობდა თავისთვის, სამხედრო მოხელეობას ასრულებდა და არა სცდილობდა, რომ რამეში გამოეჩინა თავი. 1911 წელს სამსახურს თავი გაანება. მოხუცების ჟამს უნდოდა წყნარად ეცხოვრნა, მაშინ მაგდენბურგში იმყოფებოდა და არმიის მეოთხე კორპუსს ხელმძღვანელობდა.

თუ რამდენად მივიწყებული იყო იგი, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ომის დაწყებისას იგი სამხედრო სამსახურისთვის არ გაუწვევიათ, არც თუ არავინ იფიქრებდა, თუ იგი დღევანდელი ნახევარ ღმერთი გახდებოდა გერმანეთისათვის, როგორც „სამშობლოს“ მხსნელი. მხოლოდ მაშინ, როცა რუსები შეესივნენ აღმოსავლეთ პრუსიაში, ვილჰელმი პირველი გაიხსენებს მას, როგორც ძველს დამსახურებულს მსახურს, გამოსცვლის გენერლებს და მათს ადგილას ჩააყენებს ჰინდენბურგს 9 აგვისტოს 1914 წ.

დღეს, როგორც ვიცით, ჰინდენბურგი გერმანელ ხალხის კერპი გახდა. გერმანეთში ათასი ზღაპრები შეჰქმნეს მის სახელის გარშემო. ხალხში ისეთი რწმენაა, მარტო ერთ ჰინდენბურგს შეუძლიან თავის ფართო მხრებით შეაჩეროს რუსთა უამრავ ჯარების შემოტევაო. ბევრს ქალაქებში უკვე მისი ძეგლები აავეს. სიცოცხლეშივე კერპად ჰხდიან... **ზ.**

# რუსეთი

**პურიშკევიჩის დაჯილდოვება.**

ვ. მ. პურიშკევიჩი დააჯილდოვეს წმ. ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენ-ხმლით.

**ჩამოხრჩობა.**

ირკუტსკში პოლიციელების დახოცვისათვის ჩამოხრჩობა მიუსჯიათ პროკოპი გრუზელაძისათვის და ევგენი რევინისათვის. განაჩენი უკვე სისრულეში მოუყვანიათ.

**ხურდა ფულის შენახვისათვის.**

დერბენდში ძმათა მეშადი-ბაბა და მეიბალას სახლში ჰქონიათ შენახული 845 მანეთის ვერცხლის ფული, პოლიცმეისტერს 20 ღვინობისთვეს გაუჩხრეკია მათი სახლი, ეს ფულიც ჩამოურთმევია და სამასი თუმნითაც დაუჯარიმებია.

**აქლემები მოსკოვში.**

რკინის გზით საქონლის გადატან-გადმოტანა იმდენად გაძნელებულია და სადგურებიც ისეა გატენილი დატვირთული ვაგონებით, რომ საშველი არ მიეცა. ამას დაუფიქრებია ვინმე აგრინსკი და ალექსანდროვიდან მოსკოვში როტმისტრ რ. ი. პოპოვს წერილით უთვლის: სადგურიდან ვაგონებს გადმოტვირთულ საქონლის საზიდად შემიძლიან ჩამოვიყვანო 1000 აქლემი. აქლემები გაწვრთნილი მყავს და არა ფთხებიან არც ტრამვაის მოძრაობაზე, არც ქუჩის ხმაურობაზეო. თითო 120—150 ფუთს ჰზიდავს, დღეში 70 ვერსის მანძილზე სამ გზობას გაივლიანო.

# უცხოეთი

**ა მ ე რ ი კ ა.**

გამოჩენილი და მთელს ქვეყანაზე სახელგანთქმული ედისონი ახლა სამხედრო საკითხებსაც შეეხო. მან გამოსცა წიგნი, სადაც ამბობს: ამერიკას ომი არა ჰსურს, თუმცა მისი არ ეშინიანო.

ამერიკას ეხლა სულ 457 ოფიცერი ჰყავს და 84,444 ჯარისკაცი. ედისონის აზრით მუდმივი ჯარი 100,000 კაცს არ უნდა აღემატებოდეს. მაგრამ მუდამ მზად უნდა იყოლიოს საკმაო რიცხვი ოფიცრებისა და უნტერ-ოფიცრებისა, რომ გაჭირვების დროს ერთბაშად შეიძლებოდეს ეს ჯარი მილიონებად იქცეს. საამისოდ ყველაფერი მზად უნდა იქონიოს მთავრობამ: სახაზინო ქარხნები, სადაც პირველი მოთხოვნილებისათანავე ჯარის სამოსელის მზადებას უნდა შეუდგეს; ორი მილიონი თოფი და უთვალავი პატრონა-ყუმბარა უნდა დამზადდეს სწრაფად. „ჩვენ ჩინებული მექანიკოსები ვართ მშვიდობიანობისაც და ომიანობის დროსაც. ამ მხრივ არც ერთს სხვა ეროვნებას არ ჩამოუვარდებით. ჩვენ შევქმენით ჯავშნოსანი გემები, ჩვენმა მაქსიმმა გამოიგონა ტყვიისმფრქვეველი, ჩვენმა ლაკემ გამოიგონა წყალქვეშა ნავი, ჩვენმა თანამოძმე რაიცებმა გამოიგონეს ჰაეროპლანები. რომელიმე უცხო ქვეყანას რომ განეზრახა ჩვენს ქვეყანაში შემოსევა სპეციალისტი-მექანიკი ათასობით მოიყრიდა თავს სამხედრო სამზადისისათვის და ახალ საშუალებას გამოიგონებდნენ მტრის მოსაგერიებლად. ასეთ საქმიანობაში მეც მივიღებდი მონაწილეობას“.

ედისონის ხმას ფუჭად როდი ჩაუვლია. ზღვათა მინისტრმა უკვე შეადგინა „გამომგონთა საბჭო“ და ედისონიც საპატიო თანამდებობაზე მიიწვია. ედისონი სიამოვნებით დასთანხმდა და სულ რამდენსამე დღეში მოაწესრიგა „გამომგონთა საბჭო“. ამ საბჭოში, ედისონის გარდა, არიან: მაქსიმი, რაიცი, ლაკე, ჰენრი ფორდი, რამდენიმე სხვა ნიჭიერი გამომგონთაგანი, ინჟენერები და ორგანიზატორები.

# წვრილი ამბები

**ქაღალდის ნავები.**

იაპონელმა ადმირალმა იაკოგამამ გამოიგონა ქაღალდის ნავები. ეს ნავები წყალქვეშა ნავებისათვისაა ხელსაყრელი, რადგანაც დიდი და მძიმე ნავების ტარება, უადგილობისა გამო, არ შეუძლიან თან ატაროს. ქაღალდის ნავი ხის ბეწვისაგან კეთდება. იგი ძალიან გამძლეა. უმთავრესი სიძნელე ის იყო რომ ქაღალდი წყალ-მიუკარებელი გაეხადნათ. ეს უკვე მოახერხეს ერთგვარი სითხის შემწეობით, რომლითაც ქაღალდს ჰკლენთავენ. ასეთი ქაღალდი წყალში რამდენიმე საათიც რომ დარჩეს სიმკვიდრეს არა ჰკარგავს. გამომგონმა გააკეთა რამდენიმე ჰაერით გასაბერი მილის მსგავსი პარკი. ეს პარკები ტივებივით გადააბა ერთმანეთს. ასეთი „ტივი“ ერთ კუბიკურ ფუტის ადგილს თავსდება, ჰაერით გასაბერ ბალიშის მსგავსად. ეხლა განზრახვა აქვსთ ქაღალდის ნავები ავსტრეთის წყალქვეშა ნავებმა სცადონ.

---

**გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.**

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, А. А. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія — Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Rouge.
> Agence des prisonniers de guerre — Genéve.

---

**წერილი რედაქციის მიმართ**

14 გიორგობისთვეს ყარსის სადგურზედ დავკარგე კალათა რომელშიაც სხვათაშორის მქონდა **ევდოშვილის წიგნის კვიტანციები** ვსთხოვ მპოვნელს დააბრუნოს კვიტანციები მაინც გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში ან ქ. ყარსში სამხედრო საკრებულოში დავით გაბრუაშვილთან.

პატივისცემით **დავით გაბრუაშვილი.**

---

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

---

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან. | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან. | 5 ს. | 55 წ. | საღ. |
| № 5 | ბაქოდან(სწრ.). | 7 ს. | 41 წ. | საღ. |
| № 10 | ბათომიდან. | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| | ჯულფიდან | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| | ბორჯომიდან | 7 ს. | 25 წ. | დილ. |
| | „ საღ. | 10 ს. | 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ . | 7 ს. | 3 წ. | საღ. |
| № 6 | ბაქოს(სწრ.) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 | ბათომისკენ. | 8 ს. | 53 წ. | საღ. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. | 23 წ. | საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |

---

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

თელავისა და წნორისკენ დილ. 8 ს. 58
გურჯაანში მიდის ნაშუადღ. 3 ს. 53 წ.
გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის 4 ს. 53 წ.
თელავში მიდის ნაშუადღევ. 5 ს. 35 წ.
გურჯაანიდან წნორზე მიდის 4 ს. 18 წ.
წნორზე მიდის . . . . . 5 ს. 15 წ.

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:**

დილის . . . . . . 8 ს. 58 წ.
გურჯაანში მიდის . . . 10 ს. 26 წ.
წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის. . 10 ს. 16 წ.
გურჯაანში მიდის . . . 10 ს. 16 წ.
გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის 10 ს. 46 წ.
თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

---


# თბილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ პარასკევს, 20 გიორგობისთვეს 1915 წელს, შუადღის 12 საათზე, გამგეობის საკრებულო დარბაზში მოხდება

## საჯარო ვაჭრობა საქალაქო სახლის აშენების

(მე-4 უბ. მელნიჩ. ქ. მისახვ. № 3)

## იჯარით გასაცემად

ყველა პირობებისა და ცნობების გაგება შეიძლება საქმის დროს გამგეობის მე-4 განყოფილების კანცელარიაში.

(2—7—2)

---

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

## „განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

---

## თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.